# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 31 ივლისი 2003 №140 (1912) | ფასი 50 თეთრი





## თბილისის გადაწყვეტილი ამბავი

### არჩილ არველაძე ჯერ ჩხაიძეს შეხვდა, მერე ლოკომოტივში უფროსმა ძმამ ავარჯიშა


იხილეთ მეხუთე გვერდი


# ჰაინკესმა კობიაშვილი დორტმუნდისთვის შეინახა


მაჩარა დეფლენჯაშვილის ფოტო

*ინტერტოტოს თასის ნახევარფინალში გერმანულმა „შალკემ“ გუშინ ჩეხურ „ლიბერეცს“ უმასპინძლა და ევროტურნირისთვის მოკრძალებული ანგარიშით — 2:1 გაიმარჯვა. ჩვენდა გასაკვირად, „შალკეში“ არ უთამაშია ლევან კობიაშვილს, რომელსაც მოსამზადებელი პერიოდის არც ერთი ამხანაგურ-საწრთვნელი მატჩი არ გამოუტოვებია. ის „ლიბერეცთან“ შეხვედრას ტრიბუნიდან უყურებდა.*

*რა მოხდა? რატომ არ ითამაშა ლევანმა?*

*წუხელვე მას გელ ზენკირხენში დავუკავშირდით:*

*— „შალკეს“ ყოველ მესამე დღეს თამაში აქვს და, ვფიქრობ, მწვრთნელმა „ლიბერეცთან“ დამასვენა. შაბათს ხომ ბუნდესლიგა იწყება.*

*— შენი აზრით, ჰაინკესი „დორტმუნდთან“ პირველი ტურის შეხვედრისთვის გამზადებს?*

*— ასე მგონია. „ლიბერეცამდე“ ინტერტოტოზე „დაჩიას“ ვეთამაშეთ და იმ შემადგენლობიდან მწვრთნელმა ერთბაშად შვიდი ფეხბურთელი დაასვენა.*

*— ეს იქნებ იმიტომ, რომ „ლიბერეცი“ „დაჩია“ არის...*

*— კი, მაგრამ დღევანდელ მატჩამდე მწვრთნელს ვესაუბრე, მითხრა, შენს დატვირთვას ვერიდებიო. ალბათ, ასევე მოექცა „დაჩიასთან“ ნათამაშევ დანარჩენ ფეხბურთელებსაც. „შალკე“ დიდი გუნდია. ჰაინკესსაც, კალენდრის გათვალისწინებით, თავისებური როტაციის პრინციპი აქვს. შაბათს „დორტმუნდს“ ვეთამაშებით, ოთხშაბათს ისევ „ლიბერეცს“. ზედიზედ ამდენი მატჩით შემადგენლობა გადაიღლება. დასვენების საშუალება უნდა გვქონდეს.*

*— მაშ, შაბათს, „დორტმუნდთან“ კობიაშვილს „შალკეს“ ძირითადში ველით...*

*— ვიმედოვნებ, ასე იქნება.*

*— დარწმუნებული არ ხარ?*

*— მაშინ დავრწმუნდები, როცა მწვრთნელი საამმატჩო შემადგენლობას დაასახელებს...*

*— „ლიბერეცთან“ „შალკემ“ პენალტი გააცუდა. შენ რომ გეთამაშა... „ფრაიბურგში“ ხომ მეპენალტედ ითვლებოდი?*

*— „შალკე“ „ფრაიბურგი“ არაა. პენალტის ორი-სამი დამრტყმელი გვყავს. ვნახოთ, მწვრთნელს ჯერ არ უთქვამს, პირველი გაცუდებული პენალტის შემდეგ მეორე ვინ დაარტყამს. ვიმედოვნებ, რიგში ახლოს ვარ...*

კობა ინასარიძე

# ივო შუშაკი

**ეჭვი** *ეშმაკებზე და რაღაც ამგვარებზე ლაპარაკი არ მინდა. თუმც ყველამ იცის, საბერძნეთში ცეესკას წყალში რაღაც ჩაუყარეს... კარგი იქნება, ამიერიდან საერთაშორისო თამაშებზე ჩვენი წყლით და საკვებით თუ წავალთ. მაინც, თავის დასაზღვევად.*

**იმედი** *ჩვენი გეგმა ასეთია: სეზონის მიმდინარეობისას შევიმატებთ ოთხ-ხუთ კარგ ფეხბურთელს, რომლებიც გუნდს გააძლიერებენ, სეზონის დასრულების შემდეგ, ახალი სეზონისთვის მზადებისას კი ერთ ან ორ ექსტრაკლასის მოთამაშეს.*


ინტერვიუ ივო შუშაკთან იხილეთ მესამე გვერდზე


# ჰკა მაგას!

## მამუკა ტულუში ყველაზე მძლეა

ავთანდილ გურასაშვილი

პარიზიდან

*ეროვ პარიზში, ევროპის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მესამე დღეს საქართველოს დელეგაციის მონაგარი კიდევ ორი მედლით გამდიდრდა. წინა დღეებში მოპოვებული სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს შემდეგ პარიზულ შენაძენს ოქროც შეერია. სასიამოვნოა, რომ ეს ოქრო არაძიუდოისტმა მოიპოვა. არა, ძიუდოისტებს არაფერს ვერჩით, პირიქით, მათ უკვე გამოიმუშავეს ხუთი მედალი და მათთვის მადლობის მეტი არა გვეთქმის რა. ის გვსიამოვნებს, რომ სხვა სახეობაშიც გამოგვიჩნდა სპორტსმენი, რომელიც ევროპელ თანატოლებთან შეჯიბრს სადღაც მეორე ათეულში არ ასრულებს.*

*ნანატრი ოქრო კი მოგვიპოვა ახალგაზრდა ბირთვის მკვრელმა მამუკა ტულუშმა, რომელმაც ბირთვი 19.62 მეტრზე ჰკრა და ერთბაშად 28 სანტიმეტრით აჯობა ერთადერთ ნაღდ მეტოქეს, ჩეხ რემიგიუს მახურას (სხვებმა ბირთვი 18 მეტრსაც ვერ გააცილეს).*

*დღის მეორე მედალი, ბრინჯაო ისევ და ისევ ძიუდოისტისაა. 60 კილოგრამამდე წონაში მოჭიდავე გიგა შოშიაშვილმა ამ ფესტივალზე რიგით მეექვსე მედალი შეგვძინა.*

# ტირანამ ევროპა ალექსიძესაც დაუზრპოლა

## რატის მალები მალე გამაგრდება



**რატი ალექსიძე**, ვისაც 11 ივნისს ირლანდია — საქართველოს მატჩში ხერხემლის სამი მალა ამოუვარდა და, ფაქტობრივად, ორი თვით ჩამოსცილდა ფეხბურთს, ახლა გაცილებით უკეთ არის და მალევე შეძლებს თამაშს. თუმც რამდენ ხანს დარჩება ალექსიძე თბილისის „დინამოში", ჯერ უცნობია.

— 10 აგვისტოდან ხერხემლის გასამაგრებელი სპეციალური ვარჯიშების გარდა ძუნძულის ნებაც დამრთეს ექიმებმა. აგვისტოს ბოლოს კი სრული დატვირთვით შემძლება ვარჯიში და ალბათ თამაშიც.

— სხვა გუნდში გადასვლაზე ჯერ არ ვფიქრობ. „ტირანასთან" მომხდარზე ძალიან ვინერვიულე და ძალიან დამწყდა გული. ახლა ჩემთვის მთავარი ისაა, რომ ფორმაში ჩავდგე. თუ ეს პროცესი „დინამოში" მომიწია, ცხადია, „დინამოში" დავრჩები და მერე წავალ სხვაგან. სურვილი მაქვს, კარგ ევროპულ გუნდში მოვეწყო. რაღაც ვარიანტებიც იყო. იმედი მქონდა, „ტირანასთან" თუ ვერ ვითამაშებ, მომდევნო ეტაპზე მაინც შევძლებ მინდორზე გასვლას-მეთქი, მაგრამ რა გაეწყობა. მოკლედ, „დინამოდან" წასვლა ჯერ გადაწყვეტილი არ მაქვს — ამ თემაზე „დინამოს" ხელმძღვანელობასა და მე არ გვილაპარაკია.

**დავით თავართქილაძე**

*გუშინ ქუთაისის „ტორპედო" თბილისს ესტუმრა. რიონისპირელთა ვიზიტის მიზეზი საფრანგეთის ვიზების გაკეთება იყო. ქუთათურებმაც საჭირო საბუთები შეაგროვეს და საფრანგეთის საელჩოს აახლეს. „ტორპედო" კი უეფას თასის პირველ ეტაპზე „ლანსთან" სათამაშოდ 13 აგვისტოს გაფრინდება თბილისი-პრაღა-პარიზის რეისით.*

*ტორპედოელთა შორის საელჩოში ყოფილი ვეტერინარი გიორგი ყიფიანიც იყო*

# პაშინგმა და ტირანამ რა ჰქნეს?

ვითომ რატომ უნდა გვაინტერესებდეს რა ჰქნეს, მაგრამ აბა, ინტერტოტოსა და ჩემპიონთა ლიგის წუხანდელ მატჩებს ჩახედეთ და თავად მიხვდებით. ეს ის „ტირანა" არაა, ჩვენს „დინამოს" ალბანეთში სირცხვილი რომ აჭამა, გუშინ კი მშობლიურ „ქემალ სტაფაზე" ავსტრიულმა „გრაცმა" იქით შეარცხვინა — 5:1 მოუგო.

ავსტრიულმავე „პაშინგმა" თბილისურ „ვიტ ჯორჯიასთან" ბევრი ვერაფერი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ ბრემენულ „ვერდერს" კი გადაურბინა — 4 უპასუხო გოლით გაისტუმრა შინ.

პაშინგი — ვერდერი. მლადენ კრსტაიჩი (მარცხნივ) და გერმანელები ედუარდ გლიდერის თანაგუნდელებმა შეარცხვინეს

ტირანა — გრაცი.
ავსტრიელი ანტონ ემანი და ნევილ დედე

## ჩემპიონთა ლიგა 2003-2004

### მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი
### პირველი მატჩები

შერიფი (მოლდოვა) 0:0 შახტარი (უკრაინა)

შერიფი: ხუჩანი, ტესტიმიცანუ, პრიგანიუკი, თარხნიშვილი, ივანოვი, კ. ტუდორი (ნესტერიუკი 71), ბორეცი, ფარიასი (დადუ 61), ბლანკო, ოდია, ბარიშევი
მსაჯი: კარელ ვიდლაკი (ჩეხეთი)
13 000 მაყურებელი

ტირანა (ალბანეთი) 1:5 გრაცერი (ავსტრია)

ლეოტარი (ბოსნია) 1:2 სლავია (ჩეხეთი)

ცსკა (რუსეთი) 1:2 ვარდარი (მაკედონია)

პიუნიკი (სომხეთი) 0:2 ცსკა (ბულგარეთი)

ვისლა (პოლონეთი) 5:2 ომონია (კვიპროსი)

მტკ (უნგრეთი) 3:1 ჰიკ (ფინეთი)

კოპენჰაგენი (დანია) 4:1 სლიმა (მალტა)

პარტიზანი (სერბეთი) 1:1 იურგორდენი (შვედეთი)

რაპიდი (რუმინეთი) 0:0 ანდერლეხტი (ბელგია)

კაუნასი (ლიტვა) 0:4 სელტიკი (შოტლანდია)

ჟილინა (სლოვაკეთი) 1:0 მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი)

მარიბორი (სლოვენია) 1:1 დინამო (ხორვატია)

ბოჰემიანსი (ირლანდია) 0:1 რუსენბორგი (ნორვეგია)

## ინტერტოტოს თასი 2003

### ნახევარფინალი. პირველი მატჩები

შალკე (გერმანია) 2:1 ლიბერეცი (ჩეხეთი)

0:1 კოლუშკი (79), 1:1 ტროიანი (81), 2:1 ასამოა (85)
*ალტინტოპმა ვერ გაიტანა პენალტი (14, ააცილა)*
შალკე: როსტი, ვარელა, ვალდოხი, კისენერი, ვან კერკჰოვენი, ჰინტუ (ასამოა 65), ალტინტოპი, პოულსენი, ზაიცი (ტროიანი 80), ჰანკე (ციომერი 70), ხანდი
გაფრთხილება: ვალდოხი, პოულსენი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
მსაჯი: პასკუალე როდომონტი (იტალია)
52 288 მაყურებელი

ციბალია (ხორვატია) 1:4 ვოლფსბურგი (გერმანია)

პაშინგი (ავსტრია) 4:0 ვერდერი (გერმანია)

ჰერენვენი (ჰოლანდია) 2:0 კოპერი (სლოვენია)

ნანტი (საფრანგეთი) 0:1 პერუჯა (იტალია)

ბრნო (ჩეხეთი) 1:1 ვილიარეალი (ესპანეთი)

## ამხანაგური მატჩები

სანდერლენდი 2:2 პაროსი
ლინფილდი 0:2 რეინჯერსი
კილმარნოკი 0:5 პორტსმუთი
პლიმუთი 2:2 ჩარლტონი
პორტ ვეილი 2:0 ბირმინგემი
როტერჰემი 1:3 მიდლსბრო

## ჩეხეთი

### პირველი ტური

სინოტი — პლზენი გადაიდო
ლიბერეცი — ბლშანი გადაიდო

## ავსტრია

### მაქსბუნდესლიგა
### მესამე ტური

ბრეგენცი 2:1 შტურმი
მატერსბურგი 0:0 კერნტენი
რაპიდი 1:0 ადმირა
პაშინგი — ზალცბურგი გადაიდო

## ნორვეგია

### ტიპელიგა
### გადადებული მატჩი

ვიკინგი 1:2 მიოლდე

### ტიპელიგა. XV ტური

ლინი — ბოდიო გლიმტი *დღეს*

## ისლანდია

### XII ტური

აკრანესი 2:3 რეიკიავიკი

## შვედეთი

### სუპერეტა. XVI ტური

კაფე ოპერა 2:5 ასირისკა

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# ყიფიანმა ლანსის ვიზა ქუთაისში აიღო

**ვლადიკავკაზის** „სპარტაკ-ალანიასთან" ჩაშლილი ტრანსფერის შემდეგ 24 წლის ყიფიანი სწორედ ქუთაისის „ტორპედოს" შეუთანხმდა და სულ მცირე, დეკემბრამდე სოსო ფრუიძის დარიგებებს მოისმენს. ყველანაირი ფორმალური მხარე უკვე მოგვარებულია — გიორგი ყიფიანი „ტორპედომ" საჩემპიონატო და საუეფასთასო განაცხადებში შეიყვანა. სხვათა შორის, მას „ტორპედოში" 1998-99 სეზონშიც უთამაშია.

გუშინვე გიორგი ყიფიანს გავესაუბრეთ...

— ქუთაისის „ტორპედოსთან" შეთანხმება არ გამჭირვებია. ყველაფერზე მოვილაპარაკეთ და ახლა ამ კლუბისთვის გავირჯები. ძალიან მინდა, „ტორპედოს" წარმატებების მიღწევაში დავეხმარო.

**— რამდენწლიანი კონტრაქტი გააფორმე?**

— დეკემბრამდე „ტორპედოში" ვითამაშებ, მერე კი ისევ უცხოეთში წასვლას ვცდი.

**— თუ ეს ვარიანტი არ გამოგივიდა?**

— მაშინ სეზონს აქვე ჩავამთავრებ. ამაზე უკვე შეთანხმებულები ვართ.

**— „ტორპედოში" ადრეც გითამაშია...**

— სხვათა შორის, ის პერიოდი ძალიან კარგად დამამახსოვრდა. ქუთაისში თამაშის გემო ვიცი და აქ დაბრუნების სურვილიც სულ მქონდა. მიხარია, რომ ისევ ტორპედოელი ვარ. მჯერა, თავს არ შევირცხვენ და ქუთაისელ გულშემატკივარს გავახარებ.

**— შეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატში ტრავმამ ძალიან გაგაწამა...**

— საბედნიეროდ, ახლა თავს კარგად ვგრძნობ, არაფერს ვუჩივი და იმედი მაქვს, მალე ვითამაშებ კიდეც.

**— უეფას თასზეც ითამაშებ?**

— რა თქმა უნდა. დღეს საელჩოში ვიყავით. „ტორპედოს" საფრანგეთში მივყვები.

**— „სპარტაკ-ალანიაში" გაუგებარ სიტუაციაში ჩავარდი. კლუბთან კონტრაქტი გააფორმე, მაგრამ მაინც საქართველოში დაბრუნდი...**

— ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი მეც არ მაქვს. არ ვიცი რა მოხდა. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ მერე დღემდე გაურკვეველი პრობლემები შეიქმნა.

**— ახლა ვლადიკავკაზელებისგან თავისუფალი ხარ?**

— ახლა „ტორპედოს" წევრი ვარ და სხვა აღარ მაინტერესებს. უფრო კონკრეტულად, მეტი არაფერი ვიცი.

**ქახა შალამბერიძე**

# ელისტური ვასოსო

**სიმფეროპოლის** „ტავრიადან" ელისტის „ურალანში" გადასულმა ვასილ გიგიაძემ რუსულ პრემიერლიგას სწრაფად აუღო ალღო. მან თავიდანვე მოიკიდა ფეხი ახალი კლუბის ძირითად შემადგენლობაში და პრესის ყურადღებაც მიიპყრო. ახლა კი ვასოს ელისტაში საქმე მოსაწყენად არ ექნება — ახლახან „ურალანს" მისი ტყუპისცალი სოსოც შეუერთდა.

სოსო გიგიაძე ბოლოს უკლუბოდ იყო. ტყუპისცალთან ერთად ერთ დროს „ტავრიაშიც" თამაშობდა, მერე კი უკრაინის დაბალ ლიგებში ეცადა დამკვიდრებას. ახლა ის ელისტაშია და ცდილობს, იგორ შალიმოვს მოაწონოს თავი. მან უკვე რამდენჯერმე ივარჯიშა „ურალანში", თუმც კონტრაქტის გაფორმებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.

ვნახოთ, ერთად გააგრძელებენ თუ არა ტყუპები კარიერას...

**ქახა შალამბერიძე**

# ივო შუშაკი ეჭვისა და მომავლის პროექტით



*„ტირანა“ — „დინამოს“ კვალი ჯერაც არ წაშლილა. საქართველოს ჩემპიონები ისევ შოკში არიან.*

*ისევ უგუნებოდაა ივო შუშაკიც, თუმც, მისივე თქმით, პირველ ყოვლისა, სწორედ მწვრთნელია ვალდებული, მომხდარი ყველაზე ადრე გააანალიზოს და დაივიწყოს, შეგირდები ანუგეშოს და ფსიქოლოგიურად გამოაკეთოს.*

*ძნელია, გადმოსცე ის განცდა, რაც შუშაკს ტირანის მატჩის შემდეგ სახეზე ეწერა. გაფითრებულ მწვრთნელთან გასაუბრებას მაშინ აზრიც არ ჰქონდა. ისღა თქვა, „ტირანამ“ დამსახურებულად მოიგო.*

*შუშაკი ახლაც იგივეს ამბობს, უკვე მშვიდად, ცივი გონებით, თუმც „ტირანა“ — „დინამოზე“ საუბარს რომ შევყევით, ერთი-ორჯერ ემოციამ მაინც იძალა...*

*თვალწინ დაუდგა ის კოშმარი, რაც „ქემალ სტაფაზე“ ნახა...*

— რაც თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ვარ, ტირანაში იყო მეორე შემთხვევა, ჩემმა გუნდმა სამი გოლი რომ გაუშვა. საშინელ დღეში ვიყავი, ასეთი უსუსური „დინამო“ არ მენახა — გვითხრა ივო შუშაკმა, როცა დიღმის ბაზაზე ვესტუმრეთ — ვიმეორებ, „ტირანამ“ დამსახურებულად მოიგო. არ მინდა, მისი გამარჯვება დავაკნინო, მაგრამ „ტირანას“ მოგება უფრო „დინამოს“ დამსახურება იყო. როცა მეტოქეს თამაშის საშუალებას აძლევ, ყველა გუნდი შენზე ძლიერი ჩანს.

**— ჩვენც სწორედ ეს გვაინტერესებს. რატომ იყო „ტირანა“ „დინამოზე“ ძლიერი, რატომ ამბობთ, „ტირანას“ მოგება „დინამოს“ დამსახურებაო... რა მოხდა ალბანეთში, რატომ იყო თქვენი გუნდი უმაქნისი, უსუსური? ერთი კვირა გავიდა, იქნებ წაგების კონკრეტული მიზეზები გვითხრათ?**

— ვეცდები. ჩემეული ახსნა ასეთია — პირველი მატჩის მერე ტირანაში ზედმეტად თავდაჯერებულნი ჩავედით. მიუხედავად იმისა, რომ ბიჭები თავადვე ამბობდნენ, „ტირანა“ საკმაოდ ნორმალური გუნდიაო, მათ თავში მაინც თბილისური 3:0 უტრიალებდათ. ვერ წარმოედგინათ, თუ ალბანელებს შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება. ბევრს ვეცადე, ფეხბურთელებზე ფსიქოლოგიური გავლენა მომეხდინა, მაგრამ, ჩანს, ვერ მოვახერხე. ამიტომაც დავისაჯეთ. როცა გუნდი აზრზე მოვიდა, გვიანი იყო. იმ დღეს გუნდს ყოჩი აკლდა, თამაშის წარმმართველი, გამოცდილი ფეხბურთელი, რომელიც ბურთს დაიჭერდა, პარტნიორებს აიყოლიებდა. ასეთი ანჩაბაძეა. სამწუხაროდ, ის შესვენებამდე შესაცვლელი გახდა.

**— ერთი ფეხბურთელით ხომ თამაშს ვერ მოიგებ, მით უმეტეს, არც წააგებ...**

— ანჩაბაძე ვახსენე, თორემ, რა თქმა უნდა, „ტირანასთან“ მთელმა გუნდმა წააგო. ანჩაბაძე თუ შესაცვლელი გახდა, დანარჩენებს ხომ უნდა ეთამაშათ. მესმის, თამაში არ წაუვიდეს სამ, ოთხ ფეხბურთელს, ნახევარ გუნდს. ტირანაში ყველა გაჩერებული იყო.

**— რატომ იყო გუნდი გაჩერებული, რატომ ვერ დარბოდნენ ფეხბურთელები? იქნებ გადაღლილები იყვნენ?**

— გადაღლილები რომ ყოფილიყვნენ, დამატებით დროში საერთოდ დადგებოდნენ, 90 წუთის შემდეგ კი ბიჭებს ალბანელებზე მეტი ძალა შერჩათ. სამწუხაროდ, თამაშის სადავეები ჩვენებს უკვე ხელიდან ჰქონდათ გაშვებული. იმ დროისთვის მასპინძლები ფსიქოლოგიური განწყობით გვჯობდნენ. ბიჭები თავიანთ შესაძლებლობებში დაეჭვდნენ, ანერვიულდნენ და აღარაფერი გამოუვიდათ. სწორედ ასეთ დროსაა საჭირო ისეთი ფეხბურთელი, რომელიც თამაშს თავის თავზე აიღებს, მისი შემხედვარე პარტნიორები კი დამშვიდდებიან. როცა კონცენტრაციას დაკარგავ, მერე თამაშის გადაწყობა ვარსკვლავებსაც კი უჭირთ.

**— „ტირანას“ პირველსავე ტაიმში შეეძლო საქმის მომთავრება. მასპინძლებმა ერთი გაიტანეს და სამი-ოთხი ნაღი მომენტი გააცუდეს. მაშინვე ჩანდა, რომ გუნდი მოშლილი იყო. შესვენებაზე რა უთხარით ბიჭებს, რა დავალება მიეცით?**

— შუა მოედანზე და წინ დაიჭირეთ ბურთი-მეთქი. ბიჭების გამოცოცხლებას ვცდილობდი. ვამშვიდებდი გუნდს, ანგარიში კატასტროფული არ იყო, მასპინძლები 1:0 იგებდნენ. სამწუხაროდ, წინა და შუა ზონები მაინც დავკარგეთ, ბურთი ჩვენს მცველებამდე დაუბრკოლებლად აღწევდა. მეორე ტაიმის დაწყებიდან 15 წუთში დავრწმუნდი, რომ მოთამაშე 11 ფეხბურთელი ვეღარაფერს შეცვლიდა, ამიტომ ორი შევცვალე. სამხარაძეს ბურთის გაკონტროლება, დაჭერა დავავალე, ბურდული კი ფლანგიდან შუაში შევწიე და მის პოზიციაზე კარლოსი ვათამაშე. მისი სისწრაფის იმედად ვიყავი. შეცვლებს თამაშზე გავლენა არ მოუხდენია. ვერც სამხარაძემ დაიჭირა ბურთი, ვერც კარლოსმა შეატა გუნდს ტემპი. ბიჭები მხოლოდ საკუთარ კარზე ფიქრობდნენ. როცა გირტყამენ, შენც უნდა დაარტყა, როცა მოკრივე სახეზე ხელებაფარებულია, გინახავთ, მოეგოს? მეტოქეს რაც მეტად გაათამამებ, მით მეტს შემოგიტევს, უარესად დაგარტყამს.

**— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა. 3:0 მოგებული გქონდათ, არ ჯობდა, საპასუხო მატჩისას აქცენტი დაცვაზე, კონტრშეტევებით თამაშზე გაგეკეთებინათ?**

— როცა დაცვით ფეხბურთს თამაშობ, გამარჯვების შანსი მიზერულია. ბიჭებს თამაშამდე ყველაფერი ავუხსენი, დაცვაში როგორ გვეთამაშა, კონტრშეტევები როგორ წამოგვწყო. რამდენჯერმე გვქონდა სწრაფი შეტევის განვითარების შანსი, მაგრამ... ყველა ფეხბურთელმა იმ დღეს თავისი შესაძლებლობების 50 პროცენტიც კი ვერ გამოიყენა. თამაშამდე ბიჭებმა იცოდნენ, მოედანზე რა ეკეთებინათ, ვერ გააკეთეს. რატომ? ზედმეტად თავდაჯერებულები იყვნენ. თავში უკვე „გრაცერი“ ჰქონდათ.

**— და მაინც, ბატონო ივო, სხვა ტაქტიკა რომ აგერჩიათ საპასუხო მატჩისთვის...**

**— ნათქვამია, ომის შემდეგ იოლია გენერლობაო.** არ ვამბობ, რომ უშეცდომო ვიყავი. ალბათ, საქმეს მეც რაღაც დავაკელი. ყველას აქვს აზრის გამოთქმის უფლება. შუშაკს თავისი აზრი აქვს და ფიქრობს, რომ დაცვითი ფეხბურთი ფეხბურთი არაა, ასე თამაში ფეხბურთელს კლავს, მე კი ჩემი ბიჭების პოტენციალს ვერ დავმარხავ. მსურს, ჩემმა გუნდმა ფეხბურთი ითამაშოს. გარწმუნებთ, დაცვითი ფეხბურთით დამაკმაყოფილებელ შედეგს ვერ მივაღწევთ. შეიძლებოდა, როგორ არა, ოთხი, ხუთი, ექვსი მცველითაც თამაში, მაგრამ ამით ჩვენს უსუსურობას მატჩის დასაწყისშივე გამოვხატავდით, მეტოქეს თავზე დავისვამდით.

**— მთელი გუნდი კარში ნუ ჩადგებოდა, მაგრამ დაცვის გაძლიერება ხომ შეიძლებოდა?**

— ჯიუტი კაცი არ ვარ და შემიძლია ხოლმე, რაღაც-რაღაცეები შევცვალო, მაგრამ... დღესაც რომ იყოს „ტირანასთან“ საპასუხო მატჩი, მაინც იმ სტრატეგიით თამაშს ვარჩევდი, როგორც ერთი კვირის წინ. ერთხელაც გეტყვით, როცა გირტყამენ, შენც უნდა დაარტყა, სხვანაირად ვერ მოიგებ. ტირანაში კი ჩვენ განწირულები ვყოფილვართ. ტაქტიკა, ვფიქრობ, ვერაფერს შეცვლიდა, ბიჭებს რაღაც დაემართათ. არ მსურს, წმინდა საფეხბურთოს გარდა სხვა რამე ვიფიქრო, მიზეზებს საკუთარ თავში ვეძებ და სამომავლოდ გავითვალისწინებთ. აწი ისე მოვიქცევით, როგორც დიდი გუნდები.

**— რას გულისხმობთ? საფეხბურთოს გარდა რა მიზეზებზე არ გსურთ ფიქრი?**

— იცით, არის მაგალითები, როცა... ადრე მოსკოვის ცეესკას კალათბურთელები ათენში ჩავიდნენ სათამაშოდ და სირბილის თავი არ ჰქონდათ, ეძინებოდათ...

**— ტირანიდან ჩამოსულმა პრესკონფერენციაზე ჰიპნოზიც ახსენეთ...**

— ხომ ვთქვი, ეშმაკებზე და რაღაც ამგვარებზე ლაპარაკი არ მინდა. თუმც ყველამ იცის, საბერძნეთში ცეესკას წყალში რაღაც ჩაუყარეს... კარგი იქნება, ამიერიდან საერთაშორისო თამაშებზე ჩვენი წყლით და საკვებით თუ წავალთ. მაინც, თავის დასაზღვევად.

**— მატჩის მერე გუნდს რა უთხარით?**

— არაფერი. სათქმელი დუმილით ვთქვი. მიმაჩნია, რომ ასეთი წაგების მერე სიტყვა ცეცხლზე ნავთის დასხმაა და უკურეაქციას გამოიწვევდა. ტირანიდან ჩამოსვლის მერე, პირველსავე ვარჯიშზე, მხოლოდ ის მოვითხოვე თითოეული ფეხბურთელისგან, რომ დფიქრებულიყვნენ წაგების მიზეზებზე და საკუთარი აზრი შეექმნათ. მეორე დღეს კი მატჩის ანალიზი გავაკეთე. ყველა დამეთანხმა, შენიშვნა არავის ჰქონია. საერთოდ, მომდევნო თამაშამდე წინა მატჩის ფირს ვნახულობთ, ახლა კი „სპარტაკთან“ შეხვედრამდე, ბიჭებს „ტირანასთან“ თბილისური მატჩი ჩავურთე. გაოცებულნი იყვნენ, მაშინ როცა მეტოქე გვიტევდა, კონტრშეტევაზე ექვსი-შვიდი ფეხბურთელი წამში გადადიოდა, ამას უცოდინარი ვერ გააკეთებს. სამწუხაროდ, ტირანაში მსგავსიც არაფერი ყოფილა. თურმე შეიძლება, გუნდის თამაში ერთ კვირაში რადიკალურად შეიცვალოს. ბიჭები მომხდარს დღემდე განიცდიან და ძალიან მსურს, დაივიწყონ ტირანის შეხვედრა. დაღვრილ რძეზე თუ დიდხანს იფიქრე, მშიერი დარჩები. ჯობს იფიქრო, რომ რძე წყალგარეული იყო.

**— მოდით, ასე ვთქვათ. „დინამოს“ კონტინგენტი ხომ არ მოძველდა და იქნებ ამ გუნდს მეტი არ შეუძლია...**

— სეზონის დაწყებამდე ექვსი ფეხბურთელის დამატება მსურდა — სირაძე, მელქაძე, ასათიანი, აშვეთია, ქემოკლიძე, დიდავა — მაგრამ ამათგან მხოლოდ მელქაძის გადმობირება შევძელით და ისიც, გამოვიდა, ალექსიძის საკომპენსაციოდ. ფაქტობრივად, შემადგენლობა იგივე დარჩა, რომელმაც შარშან ითამაშა. არადა, ყოველი სეზონის შემდეგ გუნდის გასაძლიერებლად ახალი სისხლია საჭირო. ძლიერ გუნდს ძლიერი ფეხბურთელები ქმნიან. შესამატებლად ქართველები იმიტომ შევარჩიე, რომ კარგად ვიცი მათი ძალა, შესაძლებლობა. ისინი გუნდს გააძლიერებდნენ. სამწუხაროდ, ეს საქმე არ გამოვიდა. გერმანიაში გასინჯვაზე გვყავდა რამდენიმე უცხოელი, მაგრამ ტესერის გარდა, რომლის სანაცვლოდაც სატრანსფერო თანხა გადასახდელი არ იყო, არავინ გამოგვადგებოდა. არადა, კარგი იქნებოდა, ჩამოთვლილ ფეხბურთელთაგან ორი-სამი მაინც დაგვემატებინა. მელქაძე მოვიყვანეთ, ალექსიძე დაგვაკლდა, მე კი ორივე ერთად მსურდა.

**— კი მაგრამ, თქვენ „დინამოსთან“ ასეთი შეთანხმება გაქვთ: წლეულს სასურველი იყო ლიგაში მოხვედრა, გაისად კი ეს ხელმძღვანელთა მოთხოვნა იქნება. თუ გუნდმა საქართველოს ჩემპიონატიდან ვერ შეძლო ფეხბურთელების დამატება, რომელ ჩემპიონთა ლიგაში თამაშზე შეიძლება ლაპარაკი? გუნდი ხომ უნდა გაძლიერდეს?**

— ამის თაობაზე ხელმძღვანელებთან ვისაუბრე და მივესალმები მათ ამბიციას. შეუძლებელია, ჩემპიონატის დასრულების შემდეგ გაუშვა 11 ფეხბურთელი, გუნდი თავიდან დაკომპლექტო და მაშინვე წარმატებას მიაღწიო. ჩვენი გეგმა ასეთია: სეზონის მიმდინარეობისას შევიმატებთ ოთხ-ხუთ კარგ ფეხბურთელს, რომლებიც გუნდს გააძლიერებენ, სეზონის დასრულების შემდეგ, ახალი სეზონისთვის მზადებისას კი ერთ ან ორ ექსტრაკლასის მოთამაშეს. ერთი-ორი ფეხბურთელი გუნდს უფრო იოლად შეეგუება, ვიდრე ხუთი-ექვსი ერთბაშად. ამიტომაც სეზონის განმავლობაში ნელ-ნელა უნდა გავძლიერდეთ, მერე კი ის უმაღლესი დონის ფეხბურთელებიც იტყვიან თავიანთ სიტყვას. გუნდი რომ ახლა გაძლიერებულიყო ჩამოთვლილი ფეხბურთელებით, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონთა ლიგის მესამე ეტაპამდე გავაღწევდით. ეს უკვე უეფას თასზე თამაშის გარანტია იქნებოდა და სეზონში, ყველაზე ცოტა, რვა საერთაშორისო მატჩს ვითამაშებდით. რვა საერთაშორისო მატჩი კი გუნდისთვის დიდი კაპიტალია. ამჟამინდელი კადრებით კი მომავალ ზაფხულშიც იგივე იქნება. რეალურად შეგვეძლება პირველი ეტაპის გავლა, კენჭისყრა თუ გაგვიმართლებს, მეორე ეტაპსაც გავივლით, მესამე მეტოქის დამარცხება კი... ეს წარმოუდგენელი მგონია. გუნდში სხვა ფეხბურთელების მოსვლა თუნდაც იმიტომაა აუცილებელი, რომ დანარჩენების დონე ამაღლდეს. მე ამბიციური პროექტები მიზიდავს, ამას ვხედავ „დინამოს“ ხელმძღვანელობაშიც.

**— ბოლოს ნაკრებზეც. თქვენსავე განცხადებაზე ვთქვათ — ეროვნული გუნდის გაწვრთნაში ფულს არ ვითხოვო...**

— ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. დიახ, თეთრს არ ვითხოვ. ეს არ მომითხოვია და გონებაშიც არ გამივლია. „დინამოს“ დირექტორატს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი შეხვდნენ, მათ ისაუბრეს, მერე კი მე შემომთავაზეს ნაკრების გაძღოლა. ვთქვი, რომ თუ ფედერაცია ასე თვლის საჭიროდ, თანახმა ვარ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ვიმუშავო. ოღონდ ამისთვის საჭიროა ბადრი პატარკაციშვილის თანხმობა. „დინამოსთან“ ხომ კონტრაქტი მაკავშირებს. პატარკაციშვილი თუ ნებას მომცემს, სიამოვნებით ვიმუშავებ ნაკრებში ისე, თეთრს არ ავიღებ. მიგულეთ ერთგულ ჯარისკაცად, რომელიც ქართულ ფეხბურთს ემსახურება.

**ძოგა ინასარიძე**

ბადრი კოთილაშვილის ფოტო

# ა-პა-პა-პა, გადახდილია! შუშაკი თავისას მიიღებს

*ეროვნული ჩემპიონატი უხმაუროდ დაიწყო. წლეულს პირველად მოხდა, ფედერაციამ ტრადიციულ სეზონისწინა პრესკონფერენციას რომ უგანა. სფფ-ის ჩინოსნებს არანაირი კომენტარი არ გაუკეთებიათ. გენერალურმა მდივანმა ვალერი ჩოლარიამ პირდაპირ გვითხრა, ჩემპიონატს პროფესიული ლიგა ატარებს და შეკითხვებით მის მესვეურებს მიმართეთო.*

*ჯერაც ფეხაუდგმელ პროფესიულ საფეხბურთო ლიგას დიდი გზა აქვს გასავლელი, ეროვნულ ჩემპიონატს დამოუკიდებლად რომ გაუძღვეს. სეზონის წინ ითქვა, რომ უმაღლესი ლიგის გათამაშებას ფედერაცია და პროფები ერთობლივად უხელმძღვანელებდნენ. ასეთ ვითარებაში კი პასუხისმგებლობა ორივე ორგანიზაციამ თანაბრად უნდა გაინაწილოს. რა შედის ფედერაციის მოვალეობაში? ამ და სხვა კითხვებით გუშინ სფფ-ის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას მივმართეთ*

## ერთი სუფრის ორმა თამადამ გავლენის სფეროები გაინაწილა

— ფედერაცია ნებისმიერ სიტუაციაში პასუხისმგებელია ფიფა-უეფას წინაშე. პროფესიული ლიგა ჩემპიონატს კი ატარებს, მაგრამ ჩვენს ვალდებულებაში შედის პროფესიული ლიგის მიერ შერჩეული კალენდრის, ჩემპიონატის დებულების დამტკიცება. ჩვენვე ვამტკიცებთ ამა თუ იმ მატჩებზე მსაჯ-ინსპექტორებს, უზრუნველვყოფთ კლუბების ლიცენზირების პროცესს, მწვრთნელთა მომზადებას.

**— ესე იგი, გარკვეულწილად ფედერაცია პასუხისმგებელიცაა ჩემპიონატის ჩატარებაზე?**

— ჩვენ არაფრით დავუშვებთ, რომ ჩემპიონატი შეწყდეს ან ჩაიშალოს. პროფესიული ლიგა ვალდებულია, ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესები გააკონტროლოს, გადაწყვეტილებები მიიღოს. ამაში მათ სადისციპლინო კომიტეტი დაეხმარება, რომელიც უკვე ჩვენს განკარგულებაში არ არის, ისევე როგორც საშეჯიბრო და შიდა სატრანსფერო კომიტეტები. ფედერაცია მხოლოდ სააპელაციო და საერთაშორისო სატრანსფერო კომიტეტების მუშაობაზეა პასუხისმგებელი.

**— როგორ ფიქრობთ, პროფესიული საფეხბურთო ლიგის ასე ნაჩქარევად შექმნა სარგებლობას მოუტანს ქართულ ფეხბურთს?**

— პროფესიულ ლიგას საშუალება ჰქონდა, ინვესტიციები მიეზიდა და დანაშაული იქნებოდა, მისთვის ეს შანსი არ მიგვეცა, თანაც მთელი მსოფლიო „პროფესიულ რელსებზეა" შემდგარი. ვნახოთ, მომავალი ყველაფერს გამოაჩენს. იმედი მაქვს, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთი სწორი გზით ივლის.

**— შინაური ფეხბურთიდან მოცლილი ფედერაცია, ალბათ გაცილებით უკეთ იზრუნებს ეროვნულ ნაკრებზე...**

— ჩვენ აქამდეც არ ვაკლებდით ამ მხრივ ცდას. ხვალ პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია დაბრუნდება უცხოეთიდან და დაწვრილებით მოვილაპარაკებთ სანაკრებოდ. უკვე მოგვარებულია ალბანეთში გასამგზავრებელი ჩარტერული რეისის საქმე, ტირანაში შერჩეული გვაქვს საუკეთესო სასტუმრო. შუშაკის გუნდი 20 აგვისტოს ან ახალგაზრდულ ნაკრებს გაეჯიბრება, ანაც ბაქოში ვითამაშებთ აზერბაიჯანთან. მათგან წინადადება მივიღეთ და გადაწყვეტილებას მწვრთნელთან შეთანხმებით გამოვიტანთ.

**— შუშაკმა განაცხადა, რომ თუკი ფედერაციის ხელმძღვანელები ბადრი პატარკაციშვილს შეუთანხმდებიან, უგასამრჯელოდ გაწვრთნის საქართველოს ნაკრებს.**

— შუშაკის მხრიდან ეს დიდებული ჟესტია, მის მოსაზრებას პატივს ვცემთ, მაგრამ არასდროს ყოფილა შემთხვევა, ფედერაციას ნაკრების მწვრთნელისთვის ხელფასი არ მიეცეს და გამონაკლისი არც ახლა იქნება. ჩვენთან თანამშრომლობის შემთხვევაში შუშაკი ხელფასს მიიღებს.

**— როდის გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა შუშაკი სანაკრებო საქმიანობას?**

— ყველაფერი უცხოეთიდან მერაბ ჟორდანიას დაბრუნების შემდეგ გადაწყდება, და ვიმეორებ, ივო შუშაკი ნაკრებში დარჩენის შემთხვევაში შესაბამის ანაზღაურებას მიიღებს, მით უმეტეს, ჩვენ საამისო პრობლემა არ გვაქვს. ფედერაცია ხვალიდან არავის ვალში არ იქნება. როგორც მაცნობეს, გუშინ გადაწყდა, რომ რკინიგზის დეპარტამენტი 48 ათას ლარს გადმოგვირიცხავს. ამ ფულით საგადასახადო პროცენტს გავისტუმრებთ. რკინიგზელებს კი კიდევ 50 ათასი ლარი დარჩებათ გადმოსარიცხი და იმასაც ეტაპობრივად დაფარავენ.

**— მალე ფიფას კონგრესი გაიმართება ყატარში...**

— მანამდე, პირველ აგვისტოს ანტირასისტული პროგრამის პრეზენტაცია გვექნება, ამას „ფრანს ფუტბოლ კომის" პროექტი მოჰყვება. ბავშვებისთვის სამი ათასი ბურთი, მაისურები, კეპები ჩამოგვივა და საფეხბურთო სკოლებში დავარიგებთ. მერე კი მე და მერაბ ჟორდანია ყატარში გავემგზავრებით ფიფას კონგრესზე. ოქტომბრის დამდეგს გენერალური მდივნების შეხვედრაა დაგეგმილი. უეფას გენმდივანი გერჰარდ აიგნერი დაგვემშვიდობება. იგი თანამდებობას ტოვებს, მის ადგილს ჩემი კარგი ნაცნობი, უეფას მარკეტინგის და პროფესიული ფეხბურთის დეპარტამენტის დირექტორი, დანიელი ლარს კრის ოლსონი დაიკავებს.

**— ქართული კლუბების ლიცენზირების პროცესი როდის დაიწყება?**

— გვინდა, რომ ეს პროცესი პირველად მოწინავე ხუთეულმა გაიაროს, რადგან მათ ევროსარბიელზე მონაწილეობის სხვებზე დიდი შანსი აქვთ, ლიცენზიის გარეშე კი ევროპისკენ ვერ გაიხედავენ. ამიტომ ჯერ ამ ხუთეულით დავიწყებთ. მარტამდე ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში დავეხმარებით, მერე კი პირობა-ვალდებულებების შესრულებას მოვთხოვთ. ამის შემდეგ ეტაპობრივად სხვა გუნდებისთვისაც მოვიცლით.

**პაატა ძვანტალიანი**

# პროფლემები დაიძლევა ლიგა იმედს იძლევა



ბადრი კოთილაშვილის ფოტო

რევაზ ლორთქიფანიძე

**დღემდე** ბევრი სკეპტიკურად უყურებს ჩვენში პროფესიული ლიგის პერსპექტივას, თუმც ფაქტია, ლიგა დაფუძნდა, პრეზიდენტად დიმიტრი რამიშვილი დაინიშნა და ნელ-ნელა სხვა საშტატო ვაკანსიებიც ივსება. გუშინ რამიშვილმა გენერალური მდივანი დაიყენა გვერდით. ამ თანამდებობაზე რამიშვილისვე მხარდამხარ ქუთაისის „ტორპედოში" ნამუშევარი რევაზ ლორთქიფანიძე დაინიშნა.

33 წლის რევაზ ლორთქიფანიძე პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტია და მისი საფეხბურთო საქმიანობა „ტორპედოს" ადმინისტრაციაში გატარებულ წელიწადნახევარს მოითვლის.

ახალგამომცხვარ გენერალურ მდივანს გუშინ შევხვდით. ძალიან სასიამოვნოა, რომ დიმიტრი რამიშვილმა გვერდით დამიყენა, მაგრამ ერთობ საპასუხისმგებლო საქმე მომენდოო, გვითხრა ლორთქიფანიძემ.

პროფესიული ლიგის მესვეურები ხვალ კლუბების წარმომადგენლებთან შეხვედრას გეგმავენ. წესით, ბევრი რამ უნდა გადაწყდეს, უმთავრესი, რაღა თქმა უნდა, კლუბების დაფინანსების პროგრამაა. ამ მხრივ პრობლემები არ გვექნებაო, გვითხრა ლორთქიფანიძემ. ჩვენს ზურგსუკან მძლავრი სპონსორები არიან და მათთან მოლაპარაკება ფაქტობრივად დასრულებულიაო. „კოკა-კოლა", „სტიმოროლი", საქართველოს ბანკი, „ნიკორა", სადაზღვევო კომპანია „ბისიაი", „ჯეოსელი" — აი, ვისი ეიმედებათ პროფესიული ლიგის მესვეურებს, თუმც ფაქტია, ჯერჯერობით სპონსორთა ინვესტიციების კვალი არ ჩანს ქართულ ფეხბურთში. მეტიც, წლეულს ჩემპიონატი ისე დაიწყო, ერთი მატჩის ტელეტრანსლაციაც არ ყოფილა. ლორთქიფანიძის განმარტებით, „სატელევიზიო ჩავარდნა" დროებითია. ეროვნულ ჩემპიონატს „იმედი", „მეცხრე არხი", „რუსთავი 2" და „ევრიკა" გააშუქებენ. პროფლიგის ხელმძღვანელებს სახელმწიფო ტელევიზიის იმედი არ უნდა ჰქონდეთ, რადგან მათთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

ლორთქიფანიძისვე თქმით, ერთ კვირაში პროფესიული ლიგის ოფიციალური საინტერნეტო გვერდი გაიხსნება. ლიგის მესვეურები 4 აგვისტოს პომპეზურ პრეზენტაციასაც გეგმავენ.

**პაატა ძვანტალიანი**



ბადრი კოთილაშვილის ფოტო

# სმრგოს 1 მრგო

**ხმაური,** რომელიც ოზურგეთულ „მერცხალ" — „თბილისის" მატჩს მოჰყვა, გუშინ ჩაცხრა. ზუგდიდიდან თბილისში ჩამოსულ სერგო კვარაცხელიას ფედერაციაში განაჩენი გააცნეს. ფიფას ზუგდიდელი არბიტრი ერთი თვით ჩამოაშორეს მსაჯობას. კვარაცხელიას, მის კოლეგებს და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაც ანატოლი მილჩენკოს გუშინ პროფესიული ლიგის პრეზიდენტი დიმიტრი რამიშვილი შეხვდა. მათ მსაჯთა და პროფლიგის შემდგომი ურთიერთობის დეტალებზეც ისაუბრეს. კონკრეტულად ჯერ არაფერი გადაწყვეტილა. რამიშვილის გუნდი ხელშეკრულების გაფორმებას სთავაზობს თემიდელებს, მსაჯები კი ამგვარი პერსპექტივით უკმაყოფილო არიან, ჯერ ინვესტიციები მიეზიდათ ამ დალოცვილებს და პირობებზე მერე დაგვლაპარაკებოდნენო.

რაც შეეხება დასჯილ კვარაცხელიას, ზუგდიდელი არბიტრი უკმაყოფილოა ვერდიქტით. მიუხედავად იმისა, რომ კვარაცხელიას ბრალეულობა საექსპერტო კომისიამ და სააპელაციო კომიტეტმა ერთსულოვნად აღიარეს, ზუგდიდელ არბიტრს ქომაგი ბევრი ჰყავს კოლეგების და ოზურგეთული მატჩის ინსპექტორის სახით. „მერცხალი" — „თბილისის" მატჩის ინსპექტორი ზურაბ პეტრიაშვილი მსაჯების გარჯას ახლაც ფრიადზე აფასებს და უკან დახევა არც სააპელაციო კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ უცდია. „ოზურგეთში საზეიმო სიტუაცია დაგვხვდა, ოთხი ათასამდე მაყურებელი მოვიდა სტადიონზე და იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ტური იყო, მსაჯებს დიდი ფსიქოლოგიური ტვირთი დააწვათ. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, კვარაცხელია კარგად უძღვებოდა საქმეს. საკამათო სიტუაციები იყო, თუნდაც საპენალტო ვითარება რომ შეიქმნა მაშინ. პენალტის დადება-არდადება კვარაცხელიას თანაბრად შეეძლო ორმოცდაათი-ორმოცდაათზე. კი, ბატონო, აღნიშნულმა ეპიზოდმა „თბილისს" გული დასწყვიტა, მაგრამ მეორე მხრიდანაც შევხედოთ საქმეს. კვარაცხელიას რომ პენალტი დაენიშნა, მომხდარს მასპინძელთა ანალოგიური რეაქცია მოჰყვებოდა. არ იყო გამორიცხული, საერთოდ ჩაშლილიყო თამაში. აბსოლუტურად მესმის იმ მსაჯის, რომელიც ასეთ სიტუაციაში მასპინძელთა მხარეს გადაიხრება. თუმც გადაჭრით ვამბობ, კვარაცხელიას მოქმედება გამიზნული არ ყოფილა, იგი იმ სიტუაციაში ისე მოიქცა, როგორც ალღომ და გამოცდილებამ უკარნახა".

გუშინ ერთი თვით დისკვალიფიცირებულ სერგო კვარაცხელიასაც შევხვდით: „ყველა მსაჯს მატჩის თავისებური ხედვა აქვს. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ უხეში შეცდომა დავუშვი. ვერც მატჩისეული ვიდეოფირი, რომელიც რამდენჯერმე ვნახე. მე ვიმოქმედე სიტუაციის შესაბამისად, სხვათა შორის, თანამსაჯმაც სინქრონულად ამიბა მხარი, მანაც არ დააფიქსირა წესების დარღვევა. საპენალტე სიტუაციისას კი სწორი პოზიცია მქონდა შერჩეული. ჩემი მოსაზრებით, იმ ეპიზოდში წესების დარღვევა არ ყოფილა. მე ხმამაღლა ვამბობ, რომ გამიზნულად არ მიმოქმედია მასპინძელთა სასარგებლოდ. არც ოზურგეთელთა მხრიდან ყოფილა ზეწოლა, „მერცხალის" ხელმძღვანელებს არც კი ვიცნობ. ჩემთვის უმთავრესი ის არის, რომ ჩემ თავთან მართალი ვარ და მინდა, ყველა პირნათელი იყოს თავისი სინდისის წინაშე".

**პაატა ძვანტალიანი**

# არველაძე ჯერ პრეზიდენტს შეხვდა, მერე ივარჯიშა

გადგი ჯეიფლაძის ფოტო

## რკინიგზა პასუხს პოლონეთიდან ელის

**გუშინ** თბილისის „ლოკომოტივში“ პირველად ივარჯიშა გერმანიიდან წამოსულმა არჩილ არველაძემ. ტყუპისცალის თქმით, მისი ლოკომოტიველობა ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ყოველივე ამის შესახებ მის ძმას და „ლოკომოტივის“ მთავარ მწვრთნელ რევაზ არველაძესაც დავეკითხეთ:

— ყველაფერი რამდენიმე დღეში გადაწყდება, სავარაუდოდ, 10 აგვისტოს გორის „დილასთან“ მატჩში აჩიკო ითამაშებს. საქმე ისაა, რომ ის კიდევ ელოდება რაღაც ვარიანტებს ევროპული გუნდებიდან. ახლახან აჩიკო რკინიგზის დეპარტამენტის უფროსსა და „ლოკომოტივის“ პრეზიდენტ აკაკი ჩხაიძეს შეხვდა. საუბრის შემდეგ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა. მოკლედ, საბოლოო გადაწყვეტილება ტყუპისცალმა უნდა მიიღოს.

ამასობაში „ლოკომოტივმა“ ახალწვეულთა თითქმის ყველა ფორმალური საკითხი მოაგვარა. გიორგი მიქაძის გარდა გუნდში კიდევ ერთი დინამოელი, ნახევარმცველი გიორგი მანწკავაც ჩაირიცხება. რაც შეეხება პოლონური „რუხის“ საკუთრება ლაშა რეხვიაშვილს, ამ ახალგაზრდა ფორვარდის თაობაზე უკვე გაგზავნილია მოთხოვნა „რუხში“ და რკინიგზელები პასუხს ელიან. ხოლო რევაზ ქემოკლიძე, რომელიც „ლოკომოტივს“ გერმანულ შეკრებაზეც ახლდა, ამჟამად რამენსკოეშია და იქაურ „სატურნში“ ისინჯება — ეს გუნდი რუსეთის პრემიერლიგაში მესამე ადგილზეა.

**დავით თავართქილაძე**

# გამოწვევა გიორგი მიქაძისთვის
# დინამო vs ლოკომოტივი

*გადაწყდა, რომ თბილისის „ლოკომოტივში“ ითამაშებს „დინამოდან“ წამოსული 23 წლის ფორვარდი გიორგი მიქაძე – რკინიგზელებმა ის იჯარით აიყვანეს.*

*მიქაძე უკვე ჯარგა ხანია, რაც „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს, თუმც რევაზ არველაძის გუნდს გერმანიაში არ ახლდა. ახლა კი ყველაფერს წერტილი დაესვა და გიორგის ინტერვიუც ჩამოვართვით*



გადგი ჯეიფლაძის ფოტო

**— რატომ არჩიე „ლოკომოტივი“?**

— პირველ რიგში იმიტომ, რომ „ლოკომოტივს“ რევაზ არველაძე წვრთნის. აგრეთვე იმის გამოც, რომ სათამაშო პრაქტიკა მქონდა.

**— როცა „დინამო“ შენს გარეშე გაემგზავრა რუიტულ შეკრებაზე, მაშინ გადაწყვიტე „დინამოდან“ წამოსვლა?**

— მასეა. როცა გერმანული შეკრების შემადგენლობა გამოცხადდა, საბოლოოდ ვირწმუნე, რომ ამ ეტაპზე „დინამოს“ ძირითადში თამაშის შანსი არ მქონდა.

**— მაინც რას ან ვის დააბრალებდი იმას, რომ „დინამოს“ ძირითადში ვერ დამკვიდრდი?**

— რთულია ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. ალბათ, მაინც ჩემი ბრალია, ვერ მივუდექი საქმეს სერიოზულად და სადღაც არ გამიმართლა კიდეც. რამდენიმე მატჩი ვერ ვითამაშე რიგიანად, ჩემმა კონკურენტმა კი ითამაშა და...

**— 2002-03 წლების სეზონის მეორე ეტაპზე „დინამოში“ ივო შუშაკი მივიდა. მაშინ შენ კარგად ათამაშდი — ქუთაისის „ტორპედოს“ „დინამომ“ შენი გოლით მოუგო 1:0, „ლოკომოტივის“ 2:0-ით დამარცხებაში ლომის წილი დაიდე. მერე რა მოხდა?**

— მომდევნო სეზონში გუნდის შემადგენლობა გაძლიერდა. მე კი პირველი თამაშები ჩავაგდე, არ წამივიდა გოლის გატანა და ამის შემდეგ უკვე ხშირად ველარ ვხვდებოდი ძირითადში. „დინამო“ ისეთი გუნდია, თუ თამაშობ, ხარ იქ, თუ ვერ თამაშობ — შეცდომებს არ გპატიობენ.

**— სათამაშო პრაქტიკა კარგა ხანია, არ გქონია და ახლა როგორ ფორმაში ხარ?**

— ძალიან კარგ ფორმაში ნამდვილად არ ვარ, მაგრამ ნელ-ნელა ალბათ ყველაფერი გამოსწორდება. „ლოკომოტივში“ ნორმალურად მიმიღეს, ძალიან კარგი კოლექტივი დამხვდა, ყველა პროფესიულად ეკიდება საქმეს. არველაძე კი ისეთი მწვრთნელია, რომელსაც ჩინებულად ეხერხება გუნდში კარგი ატმოსფეროს შექმნა.

**— მიგაჩნია, რომ გუნდში კარგი სიტუაციისთვის მწვრთნელის ფაქტორი უმნიშვნელოვანესია?**

— მწვრთნელის ფაქტორი ძალიან მთავარია. ყველაფერი პირველ რიგში მწვრთნელიდან მოდის.

**— გასაგებია, მაგრამ „დინამო“ ხომ პირობებით ყველა ქართულ კლუბს ერთი თავით სჯობს — შეძლებს კი „ლოკომოტივი“ ჩემპიონობისთვის ბრძოლას?**

— რატომ ვერ უნდა შეძლოს? „დინამოში“ საუკეთესო პირობები რომაა, ეს უდავოა, მაგრამ ჩვენ ჩვენსას ვეცდებით.

**— როგორც უნდა იყოს, „დინამოდან“ „ლოკომოტივში“ გადახვედი — ეს შენთვის დიდი გამოწვევაა?**

— მსურს დავუმტკიცო იმათ, ვისაც ჩემი არ სჯერათ, „დინამოს“ და საერთოდ ყველას, რომ ფეხბურთის თამაში და გოლების გატანა კვლავაც შემიძლია.

**— შენს კარიერაში საუკეთესო გოლად შარშან „ტორპედოს“ კარში გატანილს მიიჩნევ — ბურთი 30-35 მეტრიდან ცხრიანში რომ ჩასვი იმას?**

— ჩემს კარიერაში ეს უძვირფასესი გოლი იყო, ეფექტური. არც კი ვიცი, როგორ გამომივიდა — უბრალოდ, გავიხედე კარისკენ და დავარტყი. როცა ფორმაში ხარ, ყველაფერი გამოგდის.

**დავით თავართქილაძე**

# არ ვიცი... არ ვიცი...

## ოლეგ გველესიანსაც ვერ გაუგია, რატომ არ ათამაშებენ მეტალურგში

ბაჩარა ფულანჯაშვილის ფოტო

*არა და არ დაადგა საშველი ოლეგ გველესიანის გამეტალურგებას. თბილისური „ვიტ ჯორჯიადან“ ამ ზაფხულს დონეცკის „მეტალურგში“ გადაბარგებული ახალგაზრდა მცველი ჯერაც უქმადაა. მართალია, გველესიანმა დონბასურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტიც გააფორმა და მუდმივნომრიანი მაისურაც მიიღო, მაგრამ უკრაინელები მის საჩემპიონატო განაცხადში შეყვანას მაინც აყოვნებენ.*

*აი, რა გვითხრა ოლეგ გველესიანმა გუშინ, როცა დონეცკში შევეხმიანეთ*

— ამდენი ლოდინი ყელში ამომივიდა. ვერ გამიგია, რატომ გვიანდება ჩემი განაცხადში შეყვანა. არადა, სეზონი უკვე დაიწყო და მე ისევ უქმად ვარ. ამ კვირაში, ალბათ, ყველაფერი გაირკვევა.

**— მაინც რა მიზეზით გაჯანჯლდა ასე საქმე?**

— არ ვიცი. კლუბთან კონტრაქტი რომ გავაფორმე, თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მერე მწვრთნელიც შეიცვალა და ახლა ამან წაიღო დრო.

**— მწვრთნელის შეცვლა რა შუაშია?**

— მგონი, ახალ მწვრთნელს, ჰოლანდიელ ვილემ ფრეშს რაღაც სხვანაირი აზრები აქვს.

**— ეს რას ნიშნავს?**

— მისი დანიშვნის შემდეგ მითხრეს, ორიოდ დღეც მოითმინე და შენი საკითხი მერე გადაწყდებაო.

**— ისე ხომ არ გამოდის, რომ ფრეში გაკვირდება და თავის აზრსაც ამის შემდეგ ეტყვის ხელმძღვანელობას?**

— შესაძლოა, ასეც იყოს. არ ვიცი, ახლა ყველაფერზე ერთად ვფიქრობ და არაფერს არ გამოვრიცხავ.

ოლეგ გველესიანთან საუბრის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტ *გურამ რუხაძესაც* დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ:

— ფეხბურთელს ჩვენგან არანაირი პრობლემა არა აქვს. დონეცკიდან ტრანსფერის მოთხოვნა ჯერაც არ მიგვიღია.

ვეტერინართა თავკაცს „ვიტ ჯორჯიაში“ მიმდინარე ამბებზეც დავეკითხეთ:

— თენგიზ კობიაშვილი მალე შემოგვიერთდება და გუნდი ჩვეულად გააგრძელებს გორის „დილასთან“ სათამაშოდ მზადებას. სასიხარულოა ისიც, რომ გიორგი ადამია გამოჯანმრთელდა. ის მალე სრული დატვირთვით შეძლებს თამაშს. დიდი შანსია, გერმანიიდან გიორგი დეკანოსიძეც დაგვემატოს. ამ საკითხზე ახლა ვმუშაობთ და მალე ყველაფერს გავარკვევთ.

**ბახა შალამბერიძე**

# იმედია, არ დავაგვიანებ

## იმედაძე ისევ თურქეთში წავიდა

*22 წლის გია იმედაძე ჯერაც უსლუბოდაა. თურქული „ქოჯაელისფორიდან“ წამოსული თავდამსხმელი მშობლიურ ქუთაისში ვარჯიშობს და ისევ უცხოური კლუბის მოლოდინშია. გუშინ გია იმედაძეს დავუკავშირდით და ეს მცირე ინტერვიუც შედგა*



ბაჩარა ფულანჯაშვილის ფოტო

— ჯერაც გაურკვევლობაში ვარ. ველოდები და როგორც რამე გამოჩნდება, მაშინვე ახალ კლუბს შევუერთდები. ვარიანტები არის, მაგრამ რეალური ჯერ არაფერი ჩანს.

**— ბევრგან სეზონი უკვე დაიწყო. ძალიან ხომ არ აგვიანებ?**

— მესმის, რომ ეს პრობლემა არის, მაგრამ... როგორც ვიცი, ჯერ ტრანსფერები არ იხურება. იმედი მაქვს, მალე ყველაფერს მოვაგვარებ. ახლა თურქეთში მივდივარ და რომ დავბრუნდები, ალბათ, რამე გაირკვევა.

**— თურქეთში რატომ მიდიხარ?**

— პირადი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი.

**— „ქოჯაელისფორში“ დაბრუნებას ხომ არ აპირებ?**

— არა, ეს გამორიცხულია. „ქოჯაელისფორთან“ კონტრაქტი უკვე გაუქმებულია. ჩავალ თურქეთში, დაახლოებით ერთ კვირაში დავბრუნდები და ახალი კლუბიც აუცილებლად უნდა მოვიფიქრო. სხვაგვარად მართლა ძალიან ვაგვიანებ.

**ბახა შალამბერიძე**

# კუჭი ხომ არ აეშალა, ნეტავ?

*ჩინურ კუნძინში მადრიდის „რეალმა“ ასე იბურთავა: ძირითადი შემადგენლობა ერთობ პირობით მეორე შემადგენლობას შეხვდა (დაგვეთანხმებით, „რეალის“ მეორე შემადგენლობა ბარე ორი გუნდისთვის პირველი კი არა ვარსკვლავური იქნებოდა) და 3:1 მოუგო. ამ შეხვედრას 30 ათასი მაყურებელი დაესწრო, რომელთა უმეტესობა, თუ ინგლისურ პრესას დავუჯერებთ, დევიდ ბექემის სანახავად გახლდათ „ტუ დონგის“ სტადიონზე მისული. საინტერესოა, რომ ბექემმა ამ შეხვედრაში მისთვის ჩვეულ, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ითამაშა, ხოლო ლუიშ ფიგუ მადრიდელთა თავკაცს, კარლუშ კეირუშს მარცხნივ ჰყავდა გადაყვანილი.*

დევიდ ბექემი: „ჩინეთში ასეთ დახვედრას არ გავუკვირვებივარ, უბრალოდ ადრინდელთან შედარებით განსხვავებაა — გულშემატკივართა აღფრთოვანება მხოლოდ მე კი არა, რაულმა, რონალდომ, ზინედინ ზიდანმა და ლუიშ ფიგუმაც გამოიწვიეს. ასეთი ფეხბურთელების მხარდამხარ თამაში დიდებულია, ისინი მსოფლიოში საუკეთესონი არიან და ვფიქრობ, „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წასასვლელად საუკეთესო ვარიანტიც სწორედ ეს იყო. მინდა დავძინო, რომ ჩემს ინგლისელ ნაცნობთა შორის ბევრი იყო ისეთი, რომელთაც სხვადასხვა დროს ესპანეთში უთამაშიათ და ისინი ამ ქვეყნის ფეხბურთზე ბევრ საინტერესოს მიყვებოდნენ. ერთი სიტყვით, ვიცი, ჩემგან მხოლოდ ესპანეთში კი არა, მთელს მსოფლიოში მაქსიმუმს მოელიან და მინდა განვაცხადო, რომ ჩავარდნისა არ მეშინია, მზად ვარ გამოწვევას თვალი გავუსწორო“.

„რეალი“ ჩინეთში სამკვირიანი მოსამზადებელი პროგრამითაა ჩასული, ამ სამი კვირისა ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი დღეა გასული. და ამ ხუთ დღეში ბექემისთვის ნათელი გახდა, რომ აქ, აზიაში, მისგან და მადრიდული კლუბისგან ყველაზე მეტად ჩემპიონთა თასს ელიან.

„ბუნებრივია, ჩემპიონთა ლიგა ნებისმიერი დიდი გუნდისთვის მნიშვნელოვანია. ჩვენ ამ სეზონში ვიბრძოლებთ კიდეც ლიგაში გამარჯვებისთვის, ოღონდ „რეალს“ ყველა შეჯიბრების მოგებაც სურს. გპირდებით, არც ქომაგები დამავიწყდება, ყოველ შეხვედრაში მოედანზე გავალ, რათა გავაკეთო, რაც მათ უნდათ, რისი ნახვაც სტადიონს კმაყოფილებს დაატოვებინებთ“ — აცხადებს ბექემი, რომელსაც... თავისი „ტყუპცხენისკუდა“ ვარცხნილობა ასწევია და „სანმა“ ამ თემას ცალკე სტატია მიუძღვნა.

ეს ამბავი სწორედ იმ მატჩის დროს მოხდა, რომელშიც „რეალის“ პირველმა შემადგენლობამ მეორეს 3:1 მოუგო. მავან ქომაგს, ფან შუ ჟანგს დაუთვლია კიდეც, ვარსკვლავმა ვარცხნილობის გასწორება რვაჯერ სცადა, მაგრამ ერთხელაც ვერ შეძლო. ხოლო მეორეს შეუმჩნევია, რომ ბექემი საფინალო სასტვენისთანავე გავარდნილა გასახდელისკენ და თითქოს ხელს მუცელზეც იკიდებდა — ალბათ, გვრემა ჰქონდაო.

ყოველივე ამის შემყურე ქომაგებმა და ჟურნალისტებმა კი დაასკვნეს, რომ დევიდს საყვარელი მეუღლის, ვიქტორიას ხელი მოაკლდა და გაიხსენეს, რომ პოში ახლა ნიუიორკში, ხმის ჩამწერ სტუდიაშია.

**ბაბუნა კედია**




# ზინედინ ზიდანი: ელოდეთ ჩემს ჩავარდნებს



*„რეალი“ სეზონის წინ ჩინეთში ვარჯიშობს — ეს ცნობილია. ზინედინ ზიდანი კი იქ, აზიაში, მადრიდელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გამოდგა — ეს მოსალოდნელიც იყო. მეტი რა... თურმე ფრანგს მრავალი ტიტულის შემდეგ ესპანეთის თასის მოგებაღა დარჩენია საოცნებოდ და...*

*დანარჩენი ინტერვიუში იხილეთ.*

**— ერთი წლის წინ ბრძანეთ, რომ რონალდოს „რეალში“ გადმოსვლა თქვენზე ზეწოლას შეამსუბუქებს. ახლა ეს ზეწოლა, ალბათ, ორმაგად შემსუბუქდება.**

— დიახ, ბექემის გადმოსვლა კიდევ უფრო გამიიოლებს მდგომარეობას და ეს ლოგიკურია.

**— ვარჯიშზე ნანახის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მომავალ სეზონში ნახევარმცველი უნდა იყოთ.**

— დიახ, მართლაც ასე ჩანს, ალბათ შუაში ვითამაშებ, იქ სადაც ჩემი ადგილია. ჩემთვის ეს პოზიცია საუკეთესოა, თუმცა დავიცადოთ, ჯერ უცნობია ფიგუს და ბექემის პოზიციები. ჩემამდე მათი ადგილებია მოსაფიქრებელი.

**— ახალ მწვრთნელთა ჯგუფმა ვარჯიშები შეცვალა?**

— არა, ბევრი არაფერი შეცვლილა. ახლა სეზონისწინა პერიოდია და სამუშაო გასაგებად და ჩინებულად მიმდინარეობს.

**— თქვენ ყველა საოცნებო ჯილდო მოიპოვეთ. რა მიზანი დაგრჩათ?**

— ესპანეთის თასის მოგება მინდა. ეს ჯილდო ძალიან მომწონს, თან ჩვენ ისეთი გუნდი გვყავს, რომელსაც ნებისმიერ შეჯიბრებაში ხელეწიფება გამარჯვება და ვალდებულიცაა იბრძოლოს, რადგან „რეალი“ ჰქვია.

**— სეზონისწინა მზადების პირველ დღეებში როგორ გრძნობთ თავს?**

— ჩემი ფიზიკური მომზადება ყოველთვის ცვალებადია. ვიცი, რომ მომავალ სეზონში ცუდი დღეებიც მექნება, მაგრამ ვმუშაობ და ვიმუშავებ, რათა სასურველ ფორმაში ვიყო.

**— როგორც ჩანს, მომავალ სეზონში ჯარიმებს აღარ დაგარტყმევინებენ.**

— ვნახოთ, ბექემი დამარტყმევინებს თუ არა... ერიოზულად კი, ის გასულ სეზონში „რეალში“ სულ არ თამაშობდა, მაგრამ ჯარიმები მე მაინც არ დამირტყამს. მთავარია გოლი გავიდეს და...

**— როგორ შეეგუეთ ჩინელ ქომაგთა შეძახილებს?**

— ჩინელებს უყვართ ფეხბურთი და მათ შორის ჩემი გულშემატკივრებიც არიან, რაც ძალიან მახარებს, ფანები ყველას ჰყავს.

**ბაბუნა კედია**

# მან დაამშვენა ინგლისი
## ვიეირა საუკეთესო უცხოელია



ინგლისში რეფერენდუმი მოეწყო... ნუ, საერთო სახალხოზე არ გვაქვს ლაპარაკი, მაგრამ რეფერენდუმის კომპეტენტურობაში ეჭვის შეტანაც, ალბათ, არ შეიძლება, რადგან მასში მონაწილეობდნენ ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან ბობი რობსონი, კლაუდიო რანიერი, გრემ ტეილორი, ტიმ ფინი (იყო ასეთი ფეხბურთელი ამ ქვეყნის ნაკრებში) და შედეგები შეავ ახალ წიგნში „ინგლისი, მათი ინგლისი“, რომელიც ალბიონზე მოთამაშე 1700-ზე მეტ ლეგიონერს მოიცავს. რეფერენდუმი ლეგიონერთა შორის ყველა დროის საუკეთესოს დასახელებას ითხოვდა და პასუხად... პატრიკ ვიეირა მიიღო, „არსენალის“ ფრანგი ნახევარმცველი. ეიმეორებთ, არ გაუმარჯვია ერიკ კანტონას, პიტერ შმაიხელს და სხვა ლეგენდებს, გაიმარჯვა პატრიკ ვიეირამ.

„ლეგიონერებმა ინგლისური ფეხბურთი გააუმჯობესეს, ისინი ჩინებულად თამაშობდნენ — განაცხადა ბობი რობსონმა — თუმცა სიფრთხილე გვმართებს, რათა ჩვენს კლუბებში ჩვეულებრივი ფეხბურთელები არ მივიწვიოთ. დიახ, უნდა შევიძინოთ მხოლოდ ისეთები, როგორებიც ინგლისში არ არიან, თორემ ჩვეულებრივები ჩვენს ახალგაზრდებს ჩაუკლავენ პერსპექტივას. იცით, თუ ჩვენ ინგლისელებს მოვუსპობთ ფეხბურთის თამაშის საშუალებას, ეს ნაკრებს მყისვე დაეტყობა“.

ამწუთას ინგლისში 300 ლეგიონერზე მეტია, არადა ამ ქვეყანაში უცხოელის თამაში კარგა 50 წლის მანძილზე აკრძალული იყო. ჯერ კიდევ 1930 წელს სურდა „არსენალს“ მავანი ავსტრიელის შეძენა, თუმც პირველი უცხოელები „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ 1978 წელს გამოჩდნენ — არგენტინელი მსოფლიოს ჩემპიონები, ოსვალდო არდილესი და რიკარდო ვილა. დღეს, პრემიერლიგის ექვს გუნდს, „არსენალს“, „ჩელსის“, „ლივერპულს“, „ასტონ ვილას“, „მანჩესტერ სიტის“ და „ტოტენჰემს“ უცხოელთა გუნდის მოედანზე გამოყვანაც კი შეუძლიათ.

თუმცა, დავუბრუნდეთ ვიეირას, რომლის ბადალიც, როგორც დავრწმუნდით, ინგლისში არავინ უნახავთ და რომლის შესახებაც მისმა თანამემამულემ, „რეალის“ ვარსკვლავმა ზინედინ ზიდანმა განაცხადა:

„ვიეირა დიდი ფეხბურთელია. ძალიან კარგი იქნება თუ იგი „რეალში“ გადმოვა და ისე, როგორც საფრანგეთის ნაკრებში, ჩემსა და კლოდ მაკელელეს მხარდამხარ ითამაშებს“.

საიდან მოიტანა ზიდანმა ეს თემა? მოდი და გაიგე.

**ბაბუნა კედია**

# რაღაც განსაკუთრებული, შესანიშნავი რამ მოხდება...

## ბაჭიას გული კარგს უგრძნობს

*22 წლის ხავიერ პედრო სავიოლა უკვე სამი სეზონია, „ბარსელონაშია“ და ამ ხნის განმავლობაში იქაური ინ-ჩასების გულწრფელი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. ოკეანისგადაღმელი „ბაჭია“ ბრძოლის ჟინითაა აღსავსე და ახალი საფეხბურთო ჯილდოების მოპოვებას ესწრაფვის. გთავაზობთ ინტერვიუს არგენტინელ მობურთალთან, რომელიც „ბარსას“ საინტერნეტო ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა*




**— ეს თქვენი მესამე სეზონია. დრო გადის და საერთო მოსაზრებით, „ბარსას“ მე-7 ნომერი უკვე აღარ არის ის 19 წლის ბიჭი, კატალონიურ გრანდში რომ ჩაირიცხა.**

— გუნდში ძალიან ახალგაზრდა მოვედი. მაშინ არც ვიცოდი, რამხელა პასუხისმგებლობას ნიშნავს „ბარსელონაში“ თამაში. კატალონიური კლუბის სიდიადეზე და პრიმერადივიზიონის სირთულეზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა. ახლა უკვე გამოცდილი მოთამაშე ვარ, ესპანეთში ბევრი რამ ვნახე და ეს თავისებურ უპირატესობას მანიჭებს. 2003-04 წლების პრიმერაში გუნდისთვისაც და ჩემთვისაც რაღაც განსაკუთრებული, შესანიშნავი რამ მოხდება.

**— ამით რისი თქმა გსურთ?**

— იმის, რომ უკვე დიდ ჯილდოთა მოხვეჭის დროა. ესპანურ პრიმერაში ჯერ არც ერთი საპატიო ტიტული არ მიმიღია და ამ სეზონში რომელიმე ღირსსახსოვარი გამარჯვება „ბარსელონასთვისაც“ კარგი იქნებოდა და სავიოლასთვისაც.

**— თქვენთვის ალბათ ეს უზარმაზარი სიხარული იქნება...**

— როგორც მოთამაშე, მე ახლაც ვიზრდები და ვსწავლობ. თავდაუზოგავად ვშრომობ და, იმედი მაქვს, ის დღეც არ არის ძალიან შორს, როდესაც მისი უდიდებულესობა ფეხბურთი გაწეული ჯაფისთვის ჯეროვნად დამაფასებს. მინდა, იმ ინჩასებმაც გაიხარონ, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში გულისტკივილის მეტი რომ არაფერი უნახავთ. ისინი შესანიშნავად მეპყრობიან და მეც ვეცდები, მადლობა რაიმე დიდი გამარჯვებით გადავუხადო.

**— ჯერჯერობით თქვენი ბოლო ჯილდო 20-წლამდელთა მსოფლიოს პირველობაზე მოიხვეჭეთ. ტიტულთა არქონა ხომ არ გაწუხებთ?**

— საკმაოდ ამბიციური პიროვნება გახლავართ და თითოეულ სეზონს მომავალ ჯილდოებზე ფიქრით ვიწყებ. რა თქმა უნდა, ბოლო პერიოდში მათი არქონა ჩემზე უარყოფითად მოქმედებს, მაგრამ კაცმა რეალობას ყოველთვის თვალებში უნდა შეხედოს. როდესაც ქვეყნის ჩემპიონატი, ან სხვა რომელიმე ტურნირი ცუდად მთავრდება, მაშინ უკვე სამომავლო გეგმებზე მსჯელობა გვმართებს. ახლა სწორედ დამდეგი პრიმერას დაპყრობაზე ვფიქრობ, თუმცა ჯერ ამისთვის ბევრი მუშაობა და კარგი გუნდის შექმნაა საჭირო.

**— „ბარსელონაში“ გატარებულ ორ სეზონს როგორ შეაფასებდით?**

— პირადად მე უკმაყოფილების მიზეზი არ მაქვს. მართალია, „ბარსას“ მწვრთნელები თავიდან ყოველთვის ეჭვის თვალით მიყურებდნენ, მაგრამ შემდეგ მენდობოდნენ და ძირითადმი უყოყმანოდ მათამაშებდნენ. ფაქტობრივად, ნიმი ადგილი ბრძოლით მოვიპოვე და ამით ვამაყობ კიდეც.

**— წლევანდელ პრიმერაშიც ასე მოხდება?**

— არა მგონია, მოედანზე გამოსასვლელად კიდევ ამდენი ჯაფა დამჭირდეს, თუმცა ყოველ მწვრთნელს საქმისადმი თავისებური მიდგომა ახასიათებს.

**— რაიკარდის შესახებ რას იტყვით?**

— ეტყობა, რომ ძველი ფეხბურთელია, რადგან მოთამაშეებთან საერთო ენა უცბად გამოძებნა. „ბარსელონა“ ახლა უკეთესობისკენ მიდის.

**— ამ სეზონს სხვანაირი განწყობით იწყებთ?**

— როდესაც ხშირად ვაგებთ, საფეხბურთო ატმოსფერო ნეგატიური და აუტანელი ხდება. გამოსავალი ერთია — რაც შეიძლება მეტი გამარჯვება. ამას თუ განვახორციელებთ, ხალხის მხრიდან უზარმაზარი მხარდაჭერა გვექნება.

**— ინჩასები თავიანთ საყვარელ კლუბს გოლების სიმწირის გამო ხშირად საყვედურობენ. რას ფიქრობთ ამის შესახებ?**

— გოლების ნაკლებობა და იშვიათი მოგებები ინჩასებზეც და მოთამაშეებზეც ცუდად მოქმედებს. თუმცა მერწმუნეთ, მალე ყოველი დამარცხება წარსულს ჩაბარდება და „ბარსელონაც“ ახალ საფეხბურთო მწვერვალებს დაიპყრობს.

# რუშთუს ამერიკამ აწყინა

## რონალდინიო-რონალდოა, ირწმუნება რობერტო ჯარლოსი

**„ბარსელონას“** ახალშეძენილმა ოსმალო გოლკიპერმა რუშთუმ იტალიურ „მილანთან“ თამაშისწინა ერთ-ერთ ვარჯიშზე მარცხენა ფეხის სერიოზული ტრავმა მიიღო. თურქი მეკარე იძულებულია, მომავალი 15 დღის განმავლობაში თანაგუნდელთა ბურთაობას ოდენ თვალი ადევნოს და „ბარსას“ მთელი ამერიკული სეზონთაშორისი პერიოდი უქმად გაატაროს. არადა, ბრწყინვალე გამოდგა, „იუვენტუსთან“ შესანიშნავად თამაშა და რამდენიმე რთული ბურთის მოგერიებაც შეძლო. „საწყენია, რომ ასეთი რამ მოხდა. ამჟამად ერთი იმედიღა დამრჩენია — რაც შეიძლება მალე გამოვჯანმრთელდე“ — განუცხადა რუშთუმ იქაურ ჟურნალისტებს.

„ბარსას“ ამჟამად რუშთუ რექბერის გარდა კიდევ ერთი ტრავმირებული მოთამაშე ჰყავს და, ბედის ირონიით, ისიც ახალწვეული. მექსიკელი რაფაელ მარკესი „ოქროს თასის“ ნახევარფინალში დაშავდა, როცა საკუთარი ნაკრების შემადგენლობაში ამ პრესტიჟული ჯილდოს მოსაპოვებლად იბრძოდა. რუშთუს იძულებითი შესვენება კატალონიური კლუბის მეორე მეკარეს, ვიქტორ ვალდესს მისცემს საშუალებას, ოკეანისგადაღმა შერკინებებში თავი გამოიჩინოს.

საფეხბურთო მსოფლიო კი რონალდინიოს ჯადოსნური ხიბლის ტყვეობაში იმყოფება. მისით უამრავი ადამიანია აღტაცებული, მარადიული მეტოქე-მტრის, მადრიდის „რეალის“ წევრების ჩათვლით. სამეფო გუნდის ბრაზილიელმა ვარსკვლავმა და რონალდინიოს თანამემამულე რობერტო კარლოსმა ესპანური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში ძმაკაცი „გაუჩოს“ მიმართ საქებარი სიტყვები არ დაიშურა. „რონი გასულ სეზონში პსჟ-ს შემადგენლობაში გამაოგნებლად კარგად თამაშობდა. მე მას რონალდოს შევადარებდი“ — დარწმუნებით დაასკვნა მსოფლიოს ჩემპიონმა. მისი თქმით, „რეალში“ მოთამაშე ბრაზილიელები გულწრფელად გახარებულნი არიან რონალდინიოს ესპანეთში გადასვლით, რამეთუ იქაური პრიმერადივიზიონი საკლუბო შეჯიბრებათა შორის ყველაზე საინტერესო და მიმზიდველი ტურნირია. რობერტო კარლოსს არც რონალდო ჩამორჩა და თავის საინტერნეტო ვებ-გვერდზე „ბარსას“ ახალ იმედს წარმატება და კარგი საფეხბურთო ბედი უსურვა. პრიმერადივიზიონის მომავალი ორთაბრძოლები, რა თქმა უნდა, არავის ავიწყდება, მაგრამ დიდმა ბრაზილიელებმა მეგობრობისა და რაინდობის ღირსეული წესებიც მშვენივრად იციან.

**ლადო ხომერიკი**

**რეკლამა სარბიელ-ში**

**Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80**

# მიშველე დამიკო!

## ვიდუკამ წააქცია და ესროლა

**მარკ ვიდუკას** აგენტმა და „ლიდსმა“ ფეხბურთელის მომავალი ჯერ ვერ გაარკვიეს. ავსტრალიელის წასვლა-დარჩენაზე კვლავ მკითხაობენ, თუმცა კლუბის პრეზიდენტმა ჯონ მაკენზიმ თქვა, რომ მას ფორვარდის დატოვება სურს.

ვიდუკას აგენტმა ანდრეა დამიკომ თავის კლიენტს ფასი აუწია: „მარკი მაღალი კლასის თავდამსხმელია და უკეთეს გუნდში თამაშს იმსახურებს. აქედან თითქმის ყველა წავიდა და მასაც აქვს ამის უფლება“.

უფლება და სურვილი კი აქვს, მაგრამ: „ჩვენთვის ვიდუკას თაობაზე ოფიციალურად ერთ გუნდსაც კი არ მოუმართავს. უკვე აღვნიშნე, რომ „ლიდსიდან“ მისი გაშვება არ მინდა. თან გაითვალისწინეთ, კლუბთან ხანგრძლივი კონტრაქტი აკავშირებს“ — დასძინა მაკენზიმ.

პრეზიდენტს ფეხბურთელი სხვებისთვის არ ემეტება, მაგრამ თვითონ ავსტრალიელმა მწვრთნელს, პიტერ რიდს, გული გადაუშალა და უთხრა, წასვლა მინდაო.

მარკ ვიდუკას ლიდსში რომ მოსწყინდა, ამის დასადასტურებლად ბოლო ამხანაგური მატჩიც გამოდგება. „იორკ სიტისთან“ შეხვედრისას იგი მეტოქე ენდრიუ ჯორდანს ჯერ ეუხეშა, მერე კი ბურთი ესროლა.

ასეთი საქციელისთვის უეჭველ წითელ ბარათს იმსახურებდა, მაგრამ მსაჯმა დაინდო. ალან კეის ავსტრალიელი რომ გაეძევებინა, მას სამი პრემიერლიგური მატჩის გამოტოვება მოუწევდა. მსაჯმა ბარათის ამოძრობის ნაცვლად პიტერ რიდს უხმო და უთხრა, აჭრილია და ეგებ შეცვალოო.

რიდმა ალან კეის მადლობა გადაუხადა, მაგრამ ნამატჩევს დასძინა: „არბიტრი რამდენჯერმე თავად შეცდა, თუმც ჩემი ფეხბურთელები ამხანაგური მატჩის კვალობაზე ზედმეტად უხეშობდნენ“.

შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# უსაზღვრო რომანის ახალი გმირები

*რომან აბრამოვიჩს „ჩელსის“ სუპერკლუბად გადაქცევა რომ გადაუწყვეტია, ამ ამბავმა ყველას ტვინი წაუღო. რაც ამ ფულის ტყვიამრფქვევმა ლონდონური კლუბის აქციების დიდი ნაწილი იყიდა, დღე არ გავა, პრესაში მასზე რამე არ დაიწეროს*

## ემერსონი: ქუჩაში დაკარგული ბავშვი

### გამაგებინეთ, ვისი ვარ, რამდენს მაძლევთ...

აბრამოვიჩს ხან ვიერი უნდა, ხანაც რაული... თუმცა ჯერჯერობით „ჩელსი“ მხოლოდ დემენ დაფი, უეინ ბრიჯი და გლენ ჯონსონი გადავიდნენ. საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ დიდი შანსია, „არისტოკრატებს“ ხუან სებასტიან ვერონი და სამუელ ეტოო შეემატნონ.

ამ დღეებში კი ხმა გავარდა, აბრამოვიჩი „რომას“ ბრაზილიელ ემერსონს ყიდულობსო. თუმცა იტალიური მხარე ამ ფაქტს ჯერჯერობით არ ადასტურებს და აცხადებს, რომ ბრაზილიელი მომავალ სეზონს რომში გაატარებს. „რომას“ სპორტულ დირექტორ ფრანკო ბალდინის თქმით, კლუბის ხელმძღვანელობა ემერსონთან, ვალტერ სამუელთან, ფრანჩესკო ტოტისთან და ანტონიო კასანოსთან ახალი კონტრაქტების გაფორმებას აპირებს.

ხოლო თავად ემერსონს, რომელიც მოქმედი კონტრაქტის თანახმად 2005 წლამდე „რომას“ საკუთრებაა, ხელფასის გაზრდა სწადია. ბრაზილიელის თქმით, მას სიტუაციაში გარკვევა და მომავალი გეგმების დაწყობა უნდა, რაც მის ანაზღაურებაზეც არის დამოკიდებული.

„რომაში“ თავს მშვენივრად ვგრძნობ და აქედან მხოლოდ მადრიდში ან ბარსელონაში თუ წავალ. თუმცა არც ლონდონია ცუდი ვარიანტი. უბრალოდ, მინდა, გავიგო, რაოდენ მნიშვნელოვანი ვარ გუნდისთვის. ჩემით ბევრი კლუბია დაინტერესებული, რაც ძალიან სასიამოვნოა“ — განაცხადა ემერსონმა.

ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ბოლოს აღნიშნა, რომ მთელი გასული სეზონის მანძილზე ესმოდა ჭორები, თითქოს მისით „მილანი“, „რეალი“ და „ბარსელონა“ იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ აქამდე არაფერი გარკვეულა. ემერსონმა მოითხოვა, რომ მომავალი ჩემპიონატის დაწყებამდე საბოლოოდ უთხრან, რომელი კლუბის ღირსებას დაიცავს იგი.

იტალიური პრესა ახლა იმის გარჩევაშია, თუ რა სარგებელს მოუტანს რომაელებს ბრაზილიელის გასხვისება. როგორც იქაური ჟურნალ-გაზეთები იუწყებიან, ემერსონის სავარაუდო სატრანსფერო თანხა — 20 მილიონი გირვანქა — დედაქალაქურ კლუბს ძალიან წაადგება. 11 მილიონ გირვანქად „რომა“ შეძლებს „რეალიდან“ ფერნანდო მორიენტესის გადმობირებას (ამ უკანასკნელის შეძენა ფაბიო კაპელოს დიდი ხანია უნდა). თავად ემერსონის შეცვლას კი რომაელები „კიევოს“ პერსპექტიული ნახევარმცველით, სიმონე პეროტათი შეძლებენ.

ასე რომ, ამ ყველაფრისა და რომან აბრამოვიჩის სქელი ჯიბის გათვალისწინებით, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ემერსონმა უახლოეს დღეებში“, „ჩელსის“ მაისურა მოირგოს.

## ვერონის ბედნიერებას დეტალები აკლია

ახლა ცოტა ხუან სებასტიან ვერონზეც ვთქვათ, რომელიც ამჟამად „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ამერიკულ ტურნეშია. არგენტინელის სახელმა არისტოკრატულ უბანში აბრამოვიჩის იქ მისვლის დღიდან გაიჟღერა.



„მანჩესტერში“ ერიკ ჯემბა-ჯემბას გადაყვანის შემდეგ სერ ალექს ფერგიუსონი ვერონის გასხვისებას შესაძლოა, კიდეც შეეგუოს. მით უმეტეს, „სებას“ საქმეები გუნდში მთლად კარგად ვერ აეწყო.

ფერგიუსონმა ამერიკაში წასლამდე ვერონზე თქვა: „მასთან ურთიერთობაში პრობლემები არ მაქვს. ბედნიერი ვარ, რომ ჩემთან თამაშობს. მას აქვს შანსი, სხვა გუნდში გადავიდეს, მაგრამ უკეთესი იქნება, „მანჩესტერში“ დარჩეს“.

ეს მწვრთნელის სიტყვებია, ფეხბურთელის აგენტი ფერნანდო იდალგო კი ასე ჭიკჭიკებს: „ჩვენ ერთხელ უკვე შევხვდით „ჩელსის“ წარმომადგენლებს და ლონდონურ კლუბში ვერონის გადასვლის თაობაზე ვისაუბრეთ. მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდება. ამ დროისთვის ზოგიერთი დეტალი დასაზუსტებელია. თუ „სებას“ „ჩელსიში“ უკეთეს პირობებს შესთავაზებენ, „მანჩესტერიდან“ წასვლა პრობლემა არ არის. ყველაფერი მასზეა დამოკიდებული“.

ინგლისური წყაროების თანახმად, არგენტინელის სანაცვლოდ აბრამოვიჩმა 15 მილიონი გირვანქა უნდა გაიღოს.

**გიორგი ძაძაბაძე**




| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | ბრაზილია | 848 | 15 | 14 | ირლანდია | 702 |
| 2 | 2 | საფრანგეთი | 824 | 16 | 15 | პორტუგალია | 686 |
| 3 | 3 | ესპანეთი | 755 | 17 | 18 | კოსტა რიკა | 684 |
| 4 | 5 | ჰოლანდია | 750 | 18 | 17 | ბელგია | 670 |
| 5 | 11 | მექსიკა | 749 | 19 | 18 | შვედეთი | 662 |
| 6 | 4 | არგენტინა | 746 | 20 | 20 | პარაგვაი | 651 |
| 7 | 7 | თურქეთი | 738 | | | | |
| 8 | 6 | გერმანია | 736 | 32 | 30 | რუსეთი | 622 |
| 9 | 9 | აშშ | 731 | | | | |
| 10 | 8 | ინგლისი | 726 | 40 | 40 | შვეიცარია | 604 |
| 11 | 10 | ჩეხეთი | 711 | | | | |
| 12 | 13 | დანია | 709 | 87 | 88 | ალბანეთი | 464 |
| 12 | 16 | კამერუნი | 709 | | | | |
| 14 | 11 | იტალია | 708 | 88 | 86 | საქართველო | 462 |

I გრაფა — ადგილი, II — ადგილი წინა თვეში, III — ქულა, IV — ქული

# მილკშეიკ ფილმზი წარმოგიდგენთ

## ულინტ ისტვუდი ბობი რობსონის როლში



ნიუკასლელებზე მალე ფილმსაც ვნახავთ

**„ნიუკასლის“** პრეზიდენტი ფრენკ შეპარდი ლოს ანჯელესში იყო. მის გუნდს ამერიკაში ტურნე არ მოუწყვია, პრეზიდენტი სხვა საქმეების მოსაკვარახჭინებლად დაძვრებოდა. იგი ლოს ანჯელესის იმავე სასტუმროში ნებივრობდა, რომელშიც მისი მანჩესტერელი კოლეგა ჰიტერ კინიონი. კინიონის წასვლა გასაგებია, „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაჰყვა, ფრენკ შეპარდს კი... თურმე ფილმის გადაღება სწადია.

გეგმა ასეთია: 15 მილიონ გირვანქად შეფასებული პროექტის მიხედვით ჰოლივიდური ბლოკბასტერი უნდა გადაიღონ. ფილმის გმირი ლათინოამერიკელი ფეხბურთელი იქნება. იგი ჩრდილოეთ ინგლისის საფეხბურთო კლუბში („ნიუკასლში“) გადადის. იქ მას სრულიად განსხვავებული სამყარო და ცხოვრების წესი დახვდება, კინო კი ინგლისში სამხრეთელის პრობლემებზე მოგვითხრობს.

ამ გეგმის შესახებ საფეხბურთო კლუბ „ნიუკასლს“ ოფიციალურად არ განუცხადებია, მაგრამ ჰოლივუდელმა პროდიუსერმა მაიკ ჯეფერსმა დაფქვა: „ჩრდილო ინგლისის, ნიუკასლისა და საერთოდ იქაური ხალხის ცხოვრების შესახებ ფილმის გადაღებას ნამდვილად ვაპირებთ. სიუჟეტს სამხრეთელი ფეხბურთელისა და ინგლისური ტრადიციების შეჯახებაზე ავაწყობთ. საამისოდ „ნიუკასლი“ შევარჩიეთ. ფილმს კი ალბათ „გოლს“ დავარქმევთ“.

მაიკ ჯეფერსი კინოკომპანია „მილკშეიკ ფილმში“ მუშაობს და საქმიანი ურთიერთობა აქვს ლოურენს ბენდერთან, რომელიც კვენტინ ტარანტინოს სამი სურათის („მაკულატურა“, „ჯეკი ბრაუნი“ და „რეზერვუარის ძაღლები“) პროდიუსერია.

„ჩვენ ჯერ არ გვისაუბრია კვენტინთან „გოლის“ თაობაზე, მაგრამ ამ იდეის გასაცოცხლებლად სწორედ მისი დონის რეჟისორი გვჭირდება.“

კვენტინ ტარანტინოსა და ბობი რობსონის შეხვედრა ნამდვილად არაჩვეულებრივი სანახაობა იქნებაო, ხუმრობენ ინგლისელი კალმოსნები და სავარაუდო მსახიობების დასახელებაც არ ეზარებათ: ბობი რობსონი — კლინტ ისტვუდი, ალან შირერი — შონ ბინი, ლორან რობერი — ერიკ კანტონა, ლი ბოიერი — ვინი ჯონსი.

**ვაჟა ხუციშვილი**



კვენტინ ტარანტინო



კლინტ ისტვუდი

# ტრაპატონიმ ბებერი ქალბატონი მოიწონა

## კივუმ რომა ლიგაში შეიყვანა



ჯოვანი ტრაპატონი

კრისტიან კივუ

იტალიის ნაკრების მწვრთნელი, ჯოვანი ტრაპატონი, სკუდეტოს მომავალ ფავორიტად ისევ ბოლო ორი ჩემპიონატის გამარჯვებულს, „იუვენტუსს“ მიიჩნევს, თუმცა „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იმასაც დასძენს, რომ კონკურენცია აუცილებლად დიდი იქნება.

„მარჩელო ლიპის ბრწყინვალე გუნდი ჰყავს და ცალკეულ პოზიციებზე ჩინებული არჩევანითაც იქნება განებივრებული. მაგალითად, ფაბრიციო მიკოლი და მარკო დი ვაიო დავიდ ტრეზეგესა და ალესანდრო დელ პიეროს შემცვლელები გახლავან — ბრძანა დონ ტრაპმა, თუმცა დასძინა — არ უნდა დავივიწყოთ „მილანი“ და „ინტერიც“, იგივე „რომა“, ოღონდ თუ მისთვის სასურველ მოთამაშეს იყიდის და „ლაციო“.

რაც შეეხება უშუალო ამოცანასა და ევრო 2004-ს, ამაზე გამოცდილმა მაესტრომ განაცხადა:

„ჯერ კიდევ გვაქვს შანსი შესარჩევ ჯგუფში უელსზე წინ გავიდეთ. ამას რომ ვამბობ, ვითვალისწინებ, რომ ჩემი ფეხბურთელების ფიზიკურ მომზადებას კვლავ ეჭვის თვალით ვუყურებ და სერიოზულ დასკვნებს 20 აგვისტოს, გერმანელებთან ამხანაგურ თამაშამდე ვერ გავაკეთებ“.

მწვრთნელს ჯენარო გატუზოს, ფრანჩესკო ტოტის და კრისტიან ვიერის ამბავიც ჰკითხეს. მან უპასუხა:

„ჩემსა და გატუზოს შორის უსიამოვნება გასულმა წელიწადმა გაიყოლა, ტოტი მსოფლიო კლასის მოთამაშეა, ამას ლაპარაკი რად უნდა, მას იოლად შეუძლია „ოქროს ბურთის“ მოგება, ხოლო ვიერი უნიკალურია, გოლები ჯიჯი რიკასა და მარკო ვან ბასტენის მსგავსად გააქვს“.

სანაკრებო ამბებს აქ დავანებოთ თავი, რადგან ამწუთას ყველაფერზე საინტერესო სატრანსფერო ისტორიებია. მაგალითად ასეთი: ბრაზილიური კლუბი „სან პაულუ“ „მილანს“ უთვლის, რომ თუ კაკას შეძენა მართლა სურს, შეთავაზებული თანხა სულ მცირე უნდა გაორმაგოს. მოვიტანოთ ციტატა „სან პაულუს“ გენერალური დირექტორის, ჟუვენალ ჟუვენიკუს ნათქვამიდან:

„მილანელებმა 7 მილიონი ევრო შემოგვთავაზეს, მაგრამ კაკას გაყიდვას მხოლოდ ორჯერ ძვირად თუ დავყაბულდებით“.

შეგახსენებთ ან მოგახსენებთ, რომ 21 წლის მსოფლიოს ჩემპიონს „სან პაულუსთან“ კონტრაქტი 2005 წლამდე აკავშირებს.

რაც შეეხება „რომას“, იგი გუნდის ახალი ფეხბურთელის, რუმინელი კრისტიან კივუს აზრით, ამ სეზონში აუცილებლად მოიპოვებს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას.

„ყველას ვპირდები, რომ „რომა“ ევროპაში დაბრუნდება, ეს გარანტირებულია — თქვა 23 წლის ფეხბურთელმა — ახალ თანაგუნდელებთან ჩინებული ურთიერთობა ჩამომიყალიბდა, აქ თავს შინაურულად ვგრძნობ, ოღონდ ხალხში ჩემზე იმდენს ლაპარაკობენ, რომ ცოტა არ იყოს დავითრგუნე. იმედი მაქვს, რაიმე ჯილდოსაც მოვიგებ და ქომაგებს გავახარებ“.

„ინტერის“ არგენტინელი თავდამსხმელი ერნან კრესპო კი ბრძანებს, რომ „პარმას“ წყვილი, რუმინელი ადრიან მუტუ და ბრაზილიელი ადრიანო სერია A-ში წყვილად ყველას სჯობიან:

„ტურინში დელ პიერო და ტრეზეგე მომწონს, „მილანში“ შევჩენკო და ინძაგი, მაგრამ მუტუ და ადრიანო ერთმანეთს ისე ავსებენ, როგორც არავინ“.

რაც შეეხება „ინტერს“, კრესპოს უკეთესი მომავლის ეიმედება.

„როგორც იქნა, გარემარბები გამოჩნდნენ და ჩვენი მწვრთნელი, ექტორ კუპერი თავის გემოზე ითამაშებს. ასე რომ, მე და კრისტიან ვიერი ასე ნაქებ მუტუსა და ადრიანოს ვაჯობებთ“.

**ბაბუნა კედია**

# კოვაჩმა ციკლერი ძძიმეს შეაჩერა

მიუნხენის „ბაიერნის“ სეზონისწინა მზადებას ალექსანდრ ციკლერი გამოაკლდა. ბავარიელები ვარჯიშებზე თავს არ ზოგავენ. ოტმარ ჰიცფელდს ხანდახან ზედმეტად მონდომებული მოთამაშეების დაშოშმინებაც კი უწევს. ამას წინათ გამოჯანმრთელებული ჰასან სალიჰამიჯიჩი ისე იბრძოდა ვარჯიშზე, მწვრთნელმა ძლივს დააწყნარა, მთელი სეზონი წინ გველის და ძალები დაზოგეო.

სწორედ ასეთი თავდაუზოგავი ორმხრივი თამაშის დროს ალექსანდრ ციკლერი რობერტ კოვაჩს შეეჯახა, რაც 29 წლის ციკლერისთვის სავალალოდ დასრულდა. ფორვარდის მარჯვენა ფეხის წვივმა გაიტკაცუნა და გადატყდა.

„ეს სამწუხარო ამბავია — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — ალექსი ძალიან მონდომებით ემზადებოდა ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად. ვიმედოვნებ, რომ კვლავ დაგვიბრუნდება“.

ციკლერს ბოლო ექვს სეზონში სრულად ერთიც კი არ უთამაშია. მუდმივად ტრავმებით გატანჯულ ფეხბურთელს წინა ჩემპიონატის ნახევარიც გაუცდა.

ექიმთა დასკვნით, თავდამსხმელს ოპერაცია სჭირდება, რომლის შემდეგაც სულ ცოტა, ექვსი თვით იძულებითი დასვენება მოუწევს.

სხვა მხრივ ოტმარ ჰიცფელდის გუნდში ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და „ბაიერნს“ პირველ სამ ტურში ისეთი მეტოქეები შეხვდნენ, თავიდანვე ცხრილის სათავეში მოქცეულა არ უნდა გაუჭირდეს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კელის ხელი არ შერჩა

გერმანიის ლიგის თასის ფინალმა რია-რიაში ჩაიარა. „ჰამბურგმა“ დორტმუნდის „ბორუსიას“ პირველ ტაიმშივე მოუთავა საქმე. შესვენების შემდეგ „ბორუსიამ“ თამაშის გადარჩენა სცადა, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში კი უხეშობაზე გადავიდა.

იურგენ აუსტმა ჯერ ოტო ადო გააძევა, რომელმაც მეტოქე საკაცეზე დასადებად გაიმეტა. ამ ამბიდან ორიოდ წუთში სებასტიან კელის არბიტრის გადაწყვეტილება არ მოეწონა, დორტმუნდელი იურგენ აუსტს მიეჭრა და ორივე ხელი ჰკრა. მსაჯი, ცხადია, იერიშს არ მოელოდა და გადაყირავდა, წამომდგარმა კი წითელი ბარათი იშიშვლა და შეურაცხმყოფელი ოტო ადოს გზას გაუყენა.

ბუნდესლიგისციპლინარებმა ეს ეპიზოდი დაწვრილებით გაარჩიეს და დამნაშავეს განაჩენი გამოუტანეს: სებასტიან კელი თვენახევრით შინაურ ფეხბურთს ჩამოაშორეს. ზუსტად 8 სექტემბრამდე იგი ბუნდესლიგის მატჩებში ვერ ითამაშებს, რითაც მათიას ზამერს საქმე უფრო გაურთულდება. მას ისედაც აკლდა კრისტოფ მეცელდერი, ტორსტენ ფრინგსი და ევანილსონი, იენს ლემანი კი „მეთოფე“ გახდა და ლონდონში დაბინავდა.

სასჯელი სანაკრებო და საერთაშ.ორისო საკლუბო მატჩებზე არ ვრცელდება. 23 წლის ნახევარმცველს გერმანიის ეროვნულ გუნდში თამაშის უფლებაც აქვს და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო შეხვედრაშიც „ბრიუგეს“ წინააღმდეგ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# პრემიერლიგის დუშაშიზაცია

შელდონ ჯი ადელსონმა პრემიერლიგელებს კაზინოები შესთავაზა



ლასვეგასელი მილიარდერი, ვინმე შელდონ ჯი ადელსონი ინგლისში 150 მილიონიანი პროექტის წამოწყებას ფიქრობს — პრემიერლიგის სტადიონებზე კაზინოების წამოჭიმვა მოეპრიანა. იგი უკვე დაკავშირებია „არსენალს“, „ჩელსის“, „ნიუკასლს“, „მანჩესტერ სიტის“, „ბირმინგემს“, „მიდლსბროს“, „პორტსმუთს“, „ევერტონს“ და „ლესტერს“, რათა შეთავაზებულ სქემაზე იფიქრონ.

დააკვირდით? ჩამოთვლილთა შორის არ არის ყველაზე შუბიზნესური ინგლისური კლუბი „მანჩესტერ იუნაიტედი“, რომელსაც თურმე უკვე მიმართა ამ მისტერ ადელსონის კონკურენტმა კომპანიამ დაახლოებით ამდაგვარივე წინადადებით.

დავაზუსტოთ, ლაპარაკია ერთობ დიად ორსართულიან კაზინოებზე, რომლებიც ორ წელიწადში უნდა აშენდეს. კლუბების მოგება, დაახლოებით, 15 მილიონზე მეტი იქნება.

შელდონ ჯი ადელსონი 69 წლის არის. იგი ლას ვეგასში „სენდს ინკორპრეიტედის“ და მილიარდად შეფასებული სასტუმროსა და კაზინოს მეპატრონეა. ამერიკელი ინგლისში კაზინოების მიმართ კანონის გალიბერალურებას ითხოვს.

**ბაბუნა კედია**

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

# კროკოს თბილისურ ბიუროებში შეგიძლიათ მიბრძანდეთ ნებისმიერი ვალუტით

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **I ტური** | | | | | | |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 23.30 | 001 | ბაიერნი-აინტრახტი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 002 | ბაიერნი-აინტრახტი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 18.30 | 003 | ჰამბურგი-ჰანოვერი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 18.30 | 004 | შალკე-დორტმუნდი | 2,5 | 3,1 | 2,6 | 1,38 | 1,27 | 1,41 |
| 18.30 | 005 | ლევერკუზენი-ფრაიბურგი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 18.30 | 006 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.30 | 007 | კაიზერსლაუტერნი-მიუნხენი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 18.30 | 008 | ჰერტა-ვერდერი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 009 | ჰანზა-შტუტგარტი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 20.30 | 010 | მიონხენგლადბახი-კიოლნი | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **I ტური** | | | | | | |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 011 | არმინია-ობერჰაუზენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.00 | 012 | ფიურტი-უნტერჰახინგი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.00 | 013 | აუე-რეგენსბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.00 | 014 | კოტბუსი-ტრირი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 18.00 | 015 | მაინცი-უნიონი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.00 | 016 | ბურგჰაუზენი-ალემანია | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 18.00 | 017 | ალენი-ოსნაბრიუკი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.00 | 018 | დუისბურგი-ლიუბეკი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **4 აგვისტო** | | | | | | |
| 23.15 | 019 | კარლსრუე-ნიურნბერგი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| | | **გერმანია** | | | | | | |
| | | **რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). I ტური** | | | | | | |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 020 | ვერდერი(მ)-კილი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.00 | 021 | დორტმუნდი(მ)-პადერბორნი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 22.30 | 022 | ვატენშაიდი-ზტ.პაული | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 023 | ლაიპციგი-ქემნიცი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 17.00 | 024 | მიუნსტერი-შალკე(მ) | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 17.00 | 025 | ურდინგენი-ვუპერტალი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 17.00 | 026 | ნოიმიუნსტერი-ჰამბურგი(მ) | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 17.00 | 027 | ბრაუნშვაიგი-დინამო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 18.00 | 028 | კიოლნი(მ)-ესენი | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი).** | | | | | | |
| | | **I ტური** | | | | | | |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 029 | კაიზერსლაუტერნი(მ)-შტუტგარტი(მ) | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| 22.00 | 030 | კიკერსი-მაინცი(მ) | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.00 | 031 | ელვერსბერგი-აუგსბურგი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 17.30 | 032 | ბაიერნი(მ)-ერფურტი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 17.30 | 033 | აალენი-შვაინფურტი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 17.30 | 034 | ფოიხტი-ზაარბრიუკენი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | [illegible] |
| 17.30 | 035 | ჰოფენჰაიმი-ეშბორნი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 17.30 | 036 | ოფენბახი-ფულენდორფი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| | | **3 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 037 | ზიგენი-ვეენი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| | | **საფრანგეთი.** | | | | | | |
| | | **I დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 23.45 | 038 | ლილი-ლიონი | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 20.15 | 039 | მონაკო-ბორდო | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 23.00 | 040 | მონპელიე-რენი | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 23.00 | 041 | პსჟ-ბასტია | 1,6 | 3,3 | 6,0 | 1,07 | 1,26 | 2,12 |
| 23.00 | 042 | სოშო-ნანტი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 23.00 | 043 | ტულუზი-სტრასბური | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 23.00 | 044 | მეცი-აიაჩო | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.00 | 045 | ოსერი-ნიცა | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 23.00 | 046 | გენგამი-მარსელი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,3 | 1,39 |
| 23.00 | 047 | ლანსი-ლე მანი | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **II დივიზიონი. I ტური** | | | | | | |
| | | **1 აგვისტო** | | | | | | |
| 21.00 | 048 | ლე ავრი-ნანსი | 1,7 | 3,2 | 5.0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| | | **2 აგვისტო** | | | | | | |
| 23.00 | 049 | ანჟე-ვალანსი | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| 23.00 | 050 | შატორუ-სტ.ეტიენი | 1,9 | 3,0 | 4,2 | 1,16 | 1,3 | 1,75 |
| 23.00 | 051 | კლერმონი-რუანი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.00 | 052 | გრენობლი-ბესანკონი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.00 | 053 | გენიონი-ლორიანი | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 23.00 | 054 | ისტრი-სედანი | 2,8 | 3,0 | 2,45 | 1,44 | 1,3 | 1,34 |
| 23.00 | 055 | ლავალი-ამიენი | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 23.00 | 056 | ნიორი-კრეტეი | 1,75 | 3,0 | 5,0 | 1,1 | 1,29 | 1,87 |
| 23.00 | 057 | ტრუა-კაენი | 1,75 | 3,1 | 4,8 | 1,11 | 1,28 | 1,88 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**სლოვაკეთი. III ტური**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 068 | ინტერი-პუხოვი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 20.00 | 069 | ბ.ბისტრიცა-სლოვანი | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 22.00 | 070 | ტრნავა-ჟილინა | 2,4 | 3,0 | 2,9 | 1,33 | 1,31 | 1,47 |
| 22.00 | 071 | ტრენჩინი-რუჟომბეროკი | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 13.30 | 072 | პეტრჟალკა-დუბნიცა | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |

**დანია. სუპერლიგა.**

**II ტური**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 080 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 081 | აკადემისკი-ოლბორგი | 2,45 | 3,3 | 2,5 | 1,4 | 1,23 | 1,42 |
| 18.00 | 082 | ჰერფიოლგე-მიდტიულანდი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 18.00 | 083 | ვიბორგი-ესბიერგი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| 18.00 | 084 | ორჰუსი-ნორდსიელანდი | 2,1 | 3,3 | 3,2 | 1,28 | 1,26 | 1,62 |
| 20.35 | 085 | ფრემი-ბრიონდბიუ | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა. გადადებული მატჩი**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 099 | ზალცბურგი-გრაცერი | 2,4 | 3,2 | 2,8 | 1,37 | 1,29 | 1,49 |

**შვეიცარია. სუპერლიგა. IV ტური**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 113 | აარაუ-სერვეტი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 22.30 | 114 | ქსამაქსი-იანგ ბოიზი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.30 | 115 | თუნი-გრასჰოპერი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 22.30 | 116 | ვილი-ბაზელი | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 22.30 | 117 | ციურიხი-სტ.გალენი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |

**ფინეთი. გადადებული მატჩი**

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 211 | ალიანსი-ჰაკა | 2,9 | 3,3 | 2,25 | 1,54 | 1,26 | 1,33 |

**ისლანდია. XII ტური**

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 00.15 | 222 | ფრამი-გრინდავიკი | 3,5 | 3,3 | 1,95 | 1,69 | 1,25 | 1,22 |
| 00.15 | 223 | აკურეირი-თროტური | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |

**ბრაზილია. გადადებული მატჩი**

**31 ივლისი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 226 | პარანა-კრიკიუმა | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |

**იტალია. სუპერთასი (აშშ-ში)**

**3 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 303 | იუვენტუსი-მილანი | 2,6 | 2,9 | 2,7 | 1,37 | 1,32 | 1,39 |

**ბელგია. სუპერთასი**

**2 აგვისტო**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 304 | ბრიუგე-ლუვიე | 1,25 | 5,3 | 9,0 | 1,01 | 1,09 | 3,33 |

## ფორმულა 1. გერმანია. 2 აგვისტო. (12.00)

| 4001 გამარჯვებული | სამეული | ექვსეული | 4002 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|
| მ.შუმახერი ---------- 2,5 | 4101 ---------- 1,25 | 4201 ---------- 1,12 | 2,5 |
| ბარიკელო ---------- 6,0 | 4102 ---------- 1,85 | 4202 ---------- 1,25 | 5,0 |
| რაიკონენი ---------- 6,0 | 4103 ---------- 1,9 | 4203 ---------- 1,25 | 4,6 |
| მონტოია ---------- 3,8 | 4104 ---------- 1,5 | 4204 ---------- 1,25 | 4,0 |
| კულტჰარდი ---------- 12,0 | 4105 ---------- 3,6 | 4205 ---------- 1,45 | 12,0 |
| რ.შუმახერი ---------- 3,5 | 4106 ---------- 1,4 | 4206 ---------- 1,15 | 4,0 |
| ალონსო ---------- 25,0 | 4107 ---------- 4,6 | 4207 ---------- 1,5 | 20,0 |
| ტრული ---------- 40,0 | 4108 ---------- 7,5 | 4208 ---------- 2,0 | 40,0 |
| ბატონი ---------- 75,0 | 4109 ---------- 15,0 | 4209 ---------- 2,8 | 75,0 |
| ვილნევი ---------- 100,0 | 4110 ---------- 20,0 | 4210 ---------- 4,0 | 100,0 |
| ფიზიკელა ---------- 100,0 | 4111 ---------- 20,0 | 4211 ---------- 4,0 | 100,0 |
| პანისი ---------- 100,0 | 4112 ---------- 20,0 | 4212 ---------- 4,0 | 100,0 |
| ვებერი ---------- 75,0 | 4113 ---------- 15,0 | 4213 ---------- 2,6 | 75,0 |
| ფრენცენი ---------- 100,0 | 4114 ---------- 25,0 | 4214 ---------- 4,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი ---------- 100,0 | 4115 ---------- 25,0 | 4215 ---------- 4,0 | 100,0 |
| დი მატა ---------- 100,0 | 4116 ---------- 25,0 | 4216 ---------- 4,0 | 100,0 |

**4301 გამარჯვებული გუნდი**

ფერარი ---------- 1,75

მაკლარენი ---------- 4,0

უილიამსი ---------- 1,8

რენო ---------- 15,0

ზაუბერი ---------- 50,0

ბარ ---------- 40,0

ჯორდანი ---------- 50,0

ტოიოტა ---------- 50,0

იაგუარი ---------- 40,0

მინარდი ---------- 200,0

sportsbook infoworld p2p

## გეიმბუკერსი (ინგლისი - ავსტრია)

**გერმანია. ბუნდესლიგა**

**I ტური**

**1 აგვისტო**

ბაიერნი — აინტრახტი ---------- 1,25 ---------- 5,0 ---------- 10,0

**2 აგვისტო**

ჰერტა — ვერდერი ---------- 1,9 ---------- 3,25 ---------- 3,75

ვოლფსბურგი — ბოხუმი ---------- 1,8 ---------- 3,4 ---------- 4,0

შალკე — დორტმუნდი ---------- 2,35 ---------- 3,2 ---------- 2,75

ლევერკუზენი — ფრაიბურგი ---------- 1,65 ---------- 3,4 ---------- 4,75

ლაუტერნი — მიუნხენი ---------- 1,85 ---------- 3,25 ---------- 3,9

ჰამბურგი — ჰანოვერი ---------- 1,65 ---------- 3,5 ---------- 4,75

**3 აგვისტო**

გლადბახი — კიოლნი ---------- 2,0 ---------- 3,25 ---------- 3,4

ჰანზა — შტუტგარტი ---------- 2,65 ---------- 3,25 ---------- 2,4

**ამხანაგური მატჩი**

**1 აგვისტო**

მანჩესტერ იუნაიტედი — იუვენტუსი ---------- 2,2 ---------- 3,1 ---------- 2,5

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

**2 აგვისტო**

ზალცბურგი — გრაცერი ---------- 2,35 ---------- 3,15 ---------- 2,7

**ფინეთი. გადადებული მატჩი**

**31 ივლისი**

ალიანსი — ჰაკა ---------- 2,95 ---------- 3,2 ---------- 2,17

**ისლანდია**

**XII ტური**

**31 ივლისი**

აკურეირი — თროტური ---------- 2,05 ---------- 3,25 ---------- 3,0

ფრამი — გრინდავიკი ---------- 3,45 ---------- 3,3 ---------- 1,9

# William HILL

## უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

**გერმანია**

**ბუნდესლიგა. I ტური**

**1 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — აინტრახტი | 1,25 | 4,5 | 10,0 |

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰამბურგი — ჰანოვერი | 1,57 | 3,5 | 5,0 |
| შალკე — დორტმუნდი | 2,3 | 3,1 | 2,75 |
| ჰერტა — ვერდერი | 1,72 | 3,4 | 4,0 |
| კაიზერსლაუტერნი — მიუნხენი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| ლევერკუზენი — ფრაიბურგი | 1,61 | 3,3 | 5,0 |
| ვოლფსბურგი — ბოხუმი | 1,72 | 3,25 | 4,2 |

**3 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰანზა — შტუტგარტი | 2,62 | 3,2 | 2,3 |
| მიონხენგლადბახი — კიოლნი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

**საფრანგეთი**

**I დივიზიონი. I ტური**

**1 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლილი — ლიონი | 3,0 | 3,0 | 2,2 |

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| მონაკო — ბორდო | 1,83 | 3,0 | 4,0 |
| ოსერი — ნიცა | 1,66 | 3,1 | 5,0 |
| გენგამი — მარსელი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| ლანსი — ლემანი | 1,66 | 3,3 | 4,5 |
| მეცი — აიაჩო | 1,8 | 3,25 | 3,8 |
| მონპელიე — რენი | 1,83 | 3,2 | 3,75 |
| პსჟ — ბასტია | 1,53 | 3,25 | 6,0 |
| სოშო — ნანტი | 2,0 | 3,0 | 3,4 |
| ტულუზი — სტრასბური | 1,9 | 3,0 | 3,75 |

**ავსტრია**

**ბუნდესლიგა. III ტური**

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ზალცბურგი — გრაცერი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**დანია**

**სუპერლიგა. II ტური**

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი — ოდენსე | 1,61 | 3,5 | 4,5 |

**3 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| აკადემისკი — ოლბორგი | 2,3 | 3,4 | 2,5 |
| ორჰუსი — ნორდსიელანდი | 2,2 | 3,2 | 2,8 |
| ჰერფიოლგე — მიდტიულანდი | 2,5 | 3,25 | 2,4 |
| ვიბორგი — ესბიერგი | 2,3 | 3,2 | 2,62 |
| ფრემი — ბრონდბიუ | 4,5 | 3,5 | 1,61 |

**ნორვეგია**

**გადადებული მატჩი**

**31 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლინი — ბოდიოგლიმტი | 2,1 | 3,4 | 2,7 |

**შვეიცარია**

**სუპერლიგა. IV ტური**

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| აარაუ — სერვეტი | 2,25 | 3,3 | 2,62 |
| ქსამაქსი — იანგ ბოიზი | 1,9 | 3,3 | 3,3 |
| ციურიხი — სენტ გალენი | 1,72 | 3,4 | 4,0 |

**ბელგია**

**სუპერთასი**

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრიუგე — ლუვიე | 1,2 | 5,5 | 9,0 |

**იტალია**

**სუპერთასი (აშშ-ში)**

**3 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — მილანი | 2,5 | 2,9 | 2,62 |

# interwetten.com

## ინტერვეტენი (ავსტრია)

**გერმანია. ბუნდესლიგა**

**I ტური**

**1 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაიერნი — აინტრახტი | 1,25 | 4,5 | 9,0 |

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერტა — ვერდერი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| ვოლფსბურგი — ბოხუმი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| ჰალკე — დორტმუნდი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| ლევერკუზენი — ფრაიბურგი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| ლაუტერნი — მიუნხენი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| ჰამბურგი — ჰანოვერი | 1,65 | 3,3 | 4,4 |

**3 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| გლადბახი — კიოლნი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| ჰანზა — შტუტგარტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**გერმანია. II ბუნდესლიგა**

**I ტური**

**3 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ალენი — ოსნაბრიუკი | 1,7 | 3,2 | [illegible] |
| აუე — რეგენსბურგი | 1,9 | 3,1 | 3,5 |
| არმინია — ობერჰაუზენი | 1,7 | 3,2 | 4,2 |
| ბურგჰაუზენი — ალემანია | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| კოტბუსი — ტრირი | 1,65 | 3,3 | 4,4 |
| დუისბურგი — ლუბეკი | 1,65 | 3,3 | 4,4 |
| ჰიურტი — ინტერჰახინგი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| მაინცი — უნიონი | 1,6 | 3,4 | 4,6 |

**4 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლსრუე — ნიურნბერგი | 2,7 | 3,0 | 2,3 |

**ამხანაგური მატჩი**

**1 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| მანჩესტერ იუნაიტედი — იუვენტუსი | 2,2 | 3,1 | 2,5 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ზალცბურგი — გრაცერი | 2,1 | 3,0 | 3,0 |

**ავსტრია. I დივიზიონი**

**III ტური**

**1 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეობენი — კაფენბერგი | 1,85 | 3,1 | 3,6 |
| რიდი — ვიორგლი | 1,4 | 3,9 | 6,0 |
| ტიროლი — ბლაიბერგი | 1,55 | 3,5 | 4,8 |

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლუშტენაუ — ლინცერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| ინტერვეტენი — აუსტრია (ლ) | 1,85 | 3,1 | 3,6 |

**ნორვეგია. გადადებული მატჩი**

**31 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ლინი — ბოდო გლინტი | 2,2 | 3,3 | 2,4 |

**ბელგია. სუპერთასი**

**2 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრიუგე — ლუვიე | 1,3 | 4,2 | 8,0 |

**ფინეთი. გადადებული მატჩი**

**31 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ალიანსი — ჰაკა | 2,5 | 3,1 | 2,5 |

**ისლანდია. XII ტური**

**31 ივლისი**

| | | | |
|---|---|---|---|
| აკურეირი — თროტური | 2,1 | 3,1 | 2,7 |
| ფრამი — გრინდავიკი | 2,9 | 3,2 | 1,9 |

# ბრაიკოვიჩი ახალგაზრდებს გასაქანს აძლევს

## დინამოდან გაშვებული გიორგი მარკოიშვილი ევროპაში მიდის

*თბილისის „დინამოს" ხორვატი თავკაცი დრაჟენ ბრაიკოვიჩი მალიმალ იმეორებს, აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებო, მაგრამ, გავიხედოთ და, ახალგაზრდებს გუნდიდან უშვებს. ჩემპიონი „დინამოდან" ხორვატმა მხოლოდ სამი კალათბურთელი დაიტოვა. მათგან ყველაზე უმცროსი ვახტანგ მინაშვილი 24 წლისაა...*

*ბრაიკოვიჩის „წმენდაში" მოჰყვა დინამოელთა ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი, ბენეტონელი მანუჩარ მარკოიშვილის უფროსი ძმა გიორგიც, რომელიც შარშან სწორედ დინამოელთა თხოვნით არ წავიდა ლიუბლიანის „სლოვანში" და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა მაშინდელი მწვრთნელის, ლევან მოსეშვილის გუნდთან. მარკოიშვილს უცხოეთში წასვლის შანსი ახლაც გამოუჩნდა. ხოლო თუ როგორ დაითხოვეს დინამოელებმა სამწლიანი კონტრაქტის მქონე მოთამაშე გუნდიდან, თავად მარკოიშვილის ინტერვიუდან შეიტყობთ...*



— გავიგეთ, უცხოეთში წასვლა გადაგიწყვეტია. არადა, „დინამოსთან" სამწლიანი კონტრაქტი გქონდა...

— მქონდა, მაგრამ „დინამომ" შემიწყვიტა. უფროსობას ამის შესახებ ოფიციალურად ჯერ არაფერი უთქვამს, მაგრამ დარწმუნებით ვიცი, რომ ბრაიკოვიჩის გეგმებში აღარ ვარ.

— ბრაიკოვიჩმა თქვა, ახალგაზრდებს მეტ გასაქანს მივცემო...

— თქვა და თავიდან ყველაფერიც კარგად მიდიოდა. ბრაიკოვიჩი კლუბში ახალი მოსული იყო, ცალკე რომ დამიბარა და ძალიან გულთბილად მელაპარაკა. საჭირო კალათბურთელი ხარ, თანაც ახალგაზრდაო, მოკლედ, მეგონა, რომ ხორვატ მწვრთნელს მართლა მოვწონდი და მეტი მონდომებით ვვარჯიშობდი. პლეი ოფში შედარებით ცოტას კი მათამაშებდა, მაგრამ გულში ცუდი არაფერი გამივლია. იტალიაშიც, ტრევიზოს საწვრთნელ კემპზეც გულდამშვიდებული წავედი ჩემს ძმასთან. რომ შცოდნოდა, საქართველოში ჩამოსულს „დინამოს" კარი დახურული დამხვდებოდა, თავისუფალი აგენტის სტატუსით ტრევიზოს კემპში მივიღებდი მონაწილეობას და სასურველი კლუბის გამონახვაც, ალბათ, არ გამიჭირდებოდა.

— ტრევიზოში რაიმე ვარიანტი გამოგიჩნდა?

— ტრევიზოს კემპში არ ვმონაწილეობდი და ერთი ლიტველი აგენტი ჩემით მაინც დაინტერესდა. ტრიბუნაზე ვიჯექი, რომ მოვიდა და რუსული თუ იციო, მკითხა. ვიფიქრე, ჩემი ძმა, მანუჩარი ვგონივარ-მეთქი და ავუხსენი, ვინც ვიყავი. მიპასუხა, ეგ ვიცი და ისიც მსმენია, რომ შენც კალათბურთელი ხარო. შემომთავაზა რამდენიმე საშუალო დონის გუნდი, მაგრამ უარი ვუთხარი, „დინამოსთან" სამწლიანი კონტრაქტი მქონდა.

— თუ შენთვის ხელსაყრელი კლუბი იყო, გაგეწყვიტა „დინამოსთან" კონტრაქტი...

— ეს არ გავაკეთე, არ იქნებოდა ლამაზი. თანაც „დინამოს" საქართველოს კვალობაზე არ აქვს ცუდი პირობები.

— მაშ, „დინამომ" რატომ გაგიწყვიტა კონტრაქტი?

— რა ვიცი, დინამოელებმა პირობები დაარღვიეს და ამის სანაცვლოდ კონტრაქტითვე გათვალისწინებულ საკომპენსაციო თანხას გადამიხდიან.

— კლუბის უფროსობას არ შეხვედრილხარ და რა იცი, ეგებ გტოვებენ...

— მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ბრაიკოვიჩმა მხოლოდ სამი კალათბურთელი დაიტოვა ძველი გუნდიდან — ირაკლი ხოშტარია, ვლადიმერ ბეჟანიშვილი და ვახტანგ მინაშვილი. იტალიიდან ჩამოსულმა ეს ამბავი რომ გავიგე, ბაზაზე მივედი და მწვრთნელებს, სიტუაციაში გარკვევა ვთხოვე, მაგრამ ჯერ ვერაფერს გეტყვითო, მიპასუხეს. ბრაიკოვიჩის გეგმებში რომ არ ვიყავი, „დინამოს" ბაზის იმ თანამშრომლისგან შევიტყვე, რომელსაც კალათბურთისა არაფერი ეკითხება.

— რატომ გიმალავენ გუნდიდან დათხოვნას?

— არ ვიცი, მეტყვიან მალე და მეც დავიცავ ჩემს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს. დინამოელები ჯარიმას გადამიხდიან და გამიშვებენ ალბათ.

— გამოდის, უგუნდოდ ხარ, და... ის დროა, კლუბს ეძებდე...

— უკვე შეგულებული მაქვს ერთი ევროპული გუნდი, რომლის სახელსაც ჯერ ვერ გავამხელ. მოლაპარაკებას სწორედ ის ლიტველი აგენტი აწარმოებს, ტრევიზოში რომ მნახა. როცა „დინამომ" გამიშვა, იძულებული ვიყავი, მომავალზე მეზრუნა და იმ ლიტველ აგენტს შევეხმიანე.

— ქართული კლუბებიდან არ გქონია შეთავაზება?

— გუშინ რომელიღაც გაზეთმა დაწერა, თითქოს უკვე აზოტელი ვიყო. რუსთაველები მხოლოდ ერთხელ, ორი თვის წინ დამიკავშირდნენ, მაგრამ უარი ვუთხარი. „დინამოსთან" სამწლიანი კონტრაქტი მეჭირა ხელში და აბა, რას ვიზამდი. ეს იყო და ეს. უცხოურ ვარიანტს თუ არ ჩავთვლით, დღეს ყველაზე რეალური წინადადება „სტუ-ჯეოსელისგან" მაქვს, მაგრამ გული საზღვარგარეთ მიმიწევს.

— მახსოვს, ადრეც იყო შენი უცხოეთში წასვლის შესახებ ლაპარაკი...

— იყო და მაშინაც მავქარე, „დინამოში" რომ დავრჩი. შარშან, 24 ივლისს, ლიუბლიანაში „სლოვანის" შეკრებაზე ვიყავი დაბარებული და დინამოელებმა გადამაფიქრებინეს წასვლა, ჩვენთან დარჩი, კარგი პირობები გექნება, ძლიერ გუნდს ვაკეთებთო. დღეს კი ვნანობ, „დინამოსთვის" დავრჩი და ახლა გუნდიდან მიშვებენ.

— კიდევ რას გვეტყვი შენს შესაძლო მომავალ „ევროპულ გუნდზე"?

— საშუალო დონისაა, ლეგიონერები და საკმაოდ მდიდარი სპონსორი ჰყავს. ჩემი აზრით „სლოვანზე" ძლიერი გუნდია.

— სხვა უცხოური ვარიანტებიც ხომ არ გაქვს?

— თუ ლიტველი აგენტის ვარიანტი არ გამოვიდა, ვეცდები, ისევ „სლოვანში" წავიდე. არა მგონია, ლიუბლიანელებმა უარი მითხრან.

**ირაკლი პერტაია**

# სტუდენტები ჯავახიშვილს ჩააბარეს და ტურაშვილი დაახმარეს

მამუკა ტურაშვილს გამარჯვებებიც ახსოვს...

*ზაფხულია, გუნდებში მიდი-მოდია გაჩაღებული. აქამდე სატრანსფერო ამბებში მხოლოდ კალათბურთელები იყვნენ გარეულნი, ახლა კი მწვრთნელიც შეიცვალა — გელა წულაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს დაემშვიდობა. მისი წასვლის ამბავი თითქმის სეზონის დასრულებისთანავე გაცხადდა, მაგრამ შემცვლელი არ ჩანდა და ამ დღეებში მისი ვინაობაც გაირკვა*

თსუ-ს შეფებს შორს წასვლა არ დასჭირდათ, კლუბი გია ჯავახიშვილს ჩააბარეს, წლების მანძილზე მათ გუნდში მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ ნამუშევარ კაცს. ამ დანიშნამ ავტომატურად გამოათავისუფლა თსუ-ელთა მეორე მწვრთნელის ადგილი და იცით, ვინ დაეხმარება ჯავახიშვილს? მამუკა ტურაშვილი, ბოლო სეზონში თსუ-ელი, ისე კი „ვითაში" შვიდგზის ჩემპიონი და „დინამოში" და „აზოტში" ნათამაშები კალათბურთელი.

გამოდის, 34 წლის ტურაშვილს „შფოთიანი" კარიერის დასრულება გადაუწყვეტია. რატომ „შფოთიანი", იკითხავთ. გულზე ხელის დადებით ვიტყვით: ერთი-ორი კალათბურთელი თუ გვეგულება ისეთი, იმდენ შეხლა-შემოხლასა და აყალმყალში ყოფილიყოს გარეული, ტურაშვილს საქართველოს ჩემპიონატის მოედნებზე ბოლო 10 წლის მანძილზე რომ „გადაუტანია". რა ვუყოთ, სათუთი ნერვების კაცია და მსაჯებთან კამათიც უყვარდა, მაგრამ თავის საქმეც იცოდა, „ტურას" არაერთი მნიშვნელოვანი სამქულიანიც გვახსოვს, „ვითა" — „თბილისის" დრამატულ ფინალებში შესრულებული. მარტო ევროსაკვალიფიკაციო ეტაპის მატჩში ტურაშვილის მიერ ავსტრიელებთან ბოლო წამზე ჩაგდებული სამქულიანი რად ღირს რომელმაც 1997 წელს საქართველოს ნაკრები იმ უფსკრულს აცდინა, რომელშიც ახლაა ჩაჩეხილი.

კარგი მოთამაშე იყო და ვნახოთ, როგორი მწვრთნელი იქნება ტურაშვილი. მისი და ჯავახიშვილის გუნდი სავარაუდოდ 20 აგვისტოს შეიკრიბება. ჯერჯერობით სამი ახალწვეულის ვინაობაა ცნობილი, აკადემიელები — ბესიკ ლეჟავა, ნოდარ ბექაური და დავით გვიმრაძე, რომლებიც ახლა სასლოვაკეთოდ გამზადებულ საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებში ვარჯიშობენ, მომავალ სეზონში თსუ-ს დაეხმარებიან.

თსუ, სავარაუდოდ, შუა აგვისტოში დაკომპლექტდება და ოციდან საახალსეზონო შეკრებასაც მოიწყობს.

**ირაკლი პერტაია**

—და აყალმაყალიც





ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია ერთმანეთს 14 ნოემბერს გადაეყრებიან

# ფაჩულიას და ცქიტიშვილს დრო დაუთქვეს

## ნბა-მ სეზონის კალენდარი გამოაქვეყნა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საშეჯიბრო კომიტეტმა 2003-04 წლების რეგულარული ჩემპიონატის კალენდარი გამოაქვეყნა.

ნბა რეგულარულ ჩემპიონატს ტრადიციულად გვიან შემოდგომაზე, 28 ოქტომბერს დაიწყებს. ამ დღეს სეზონი სამ ქალაქში — ფილადელფიაში, სან ანტონიოსა და ლოს ანჯელესში გაიხსნება.

ალენ აიჟერსონსა და მისი „ფილადელფია სიქსერზს" პირველ მეტოქედ „მაიამი ჰითი" ერგოთ. ჯერჯერობით უცნობია, იმ მატჩში მიიღებს მონაწილეობას თუ არა „მაიამის" ქართველი ცენტრი ვლადიმერ სტეფანია. ვოვას ამ ზაფხულს დაუმთავრდა „ჰითთან" კონტრაქტი და ძველ გუნდთან, ისევე როგორც სხვებთან, ახლა მოლაპარაკებებს აწარმოებს.

ჩემპიონ „სან ანტონიოს" სეზონის გახსნით თამაშში უხერხულ მეტოქესთან „ფინიქს სანზთან" ჯაჯგური მოუწევს. საინტერესო თამაში იქნება და „სფურზის" შინა სარბიელი „ესბისი სენთერი", ალბათ, გაიკსება, მაგრამ ამერიკის ყურადღების ფოკუსი მაინც ლოს ანჯელესის „სტეიპლზ სენთერისკენ" იქნება მიპყრობილი, სადაც ჩემპიონყოფილი „ლეიკერსი" ინტერნაციონალურ „დალასს" დაუხვდება. საზოგადოებამ ჯერ არ იცის, ეყოლება თუ არა „ლეიკერსს" პირველ მატჩში კობი ბრაიანტი, ვისაც სასტუმროს მოსამსახურესთან საათიანი მრუშობა რამდენიმეთვიან სასამართლო ფაფარათად დაუჯდება, მაგრამ ის კი ცხადია, „ლეიკერსი" ძველ დევკაც შაკილ ონილთან ერთად ბებერი ახალწვეულებით — კარლ მელოუნით, გერი პეიტონითა და ჰორას გრანტით შევა მოედანზე, თუ, რა თქმა უნდა, ამათ რაიმე მარცხი არ შეემთხვათ სეზონამდე დაგეგმილ საწვრთნელ ბანაკებში ანაც კიდევ სხვაგან.

ახალგაზრდა ქართველები ნიკა ცქიტიშვილი და ზაზა ფაჩულია სეზონს 29 ოქტომბერს იწყებენ. ზაზა ფაჩულიას დებიუტი ამერიკის შეერთებული შტატების უპირველეს სპორტულ სარბიელზე „მედისონ სკვერ გარდენში" შედგება — მისი „ორლანდო" „ნიუ იორკს" სტუმრობს.

ნიკა ცქიტიშვილი თავისი მეორე სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩს 29 ოქტომბერს გამართავს, მისი „დენვერი" „პეპსი სენთერში" წინა სეზონთან შედარებით მოდონიერებული დაუხვდება ჩემპიონ „სან ანტონიოს", მაგრამ ალბათ მაინც წააგებს.

ზაზა ფაჩულია და ნიკა ცქიტიშვილი ერთმანეთს პირველად 14 ნოემბერს შეხვდებიან ფიცარნაგზე, როცა „ცქიტოს" „დენვერი" ზაზას „ორლანდოს" მიიღებს. ორლანდოში საპასუხო შეხვედრა 22 თებერვალს გაიმართება.

ახალმა კალენდარმა ყველაზე მეტად კლივლენდელები გააწბილა. ისინი შინ 5 ნოემბრამდე ვერ იხილავენ ნბა-ში მისვლამდე გაფეტიშებულ მეზობელ ქალაქელ ფენომენს ლებრონ ჯეიმსს. „კლივლენდს" პირველი სამი მატჩი სტუმრად უწევს და 5 ნოემბერსღა ჩავა შინ, რათა ნიკა ცქიტიშვილის „დენვერს" დაუხვდეს. ამ ორი აუტსაიდერი გუნდის შეხლა საკმაო ყურადღებას იქცევს, რადგან ერთმანეთის პირისპირ პირველად წარდგებიან წლევანდელი დრაფტის ხმაურიანი სახელები ლებრონ ჯეიმსი და კარმელო ენტონი. ორივე ერთი ამპლუასანი არიან და მათი სპორტული მტრობის დასაწყისს პუბლიკა ისევე ჯანმრთელი ინტერესით ელის, როგორც 20 საუკუნის წინანდელ რომში პურიანი, პურადი და უპურო მასები გლადიატორების ბრძოლების სეზონის გახსნას.

სულ რეგულარული სეზონი 170 დღეს, ანუ თითქმის ექვს თვეს გასტანს და 14 აპრილს დასრულდება, ხოლო სამი დღის შემდეგ პლეი ოფი დაიწყება.

ოლ სტარი ტრადიციულად შუა თებერვალში, 14-15 რიცხვებში, ლოს ანჯელესის, „სტეიპლზ სენთერში" გაიმართება.

**კოტე ყორშია**



# ისევ ის ბიჭი ვარ

## კახა ალანიას დარტყმა გაუბედეს

*საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „ლოკომოტივის" ძირითად ბირთვს და მის მწვრთნელ თემურ ბენდიაშვილს ამ გაგანია ზაფხულში „ჩამოსაჯდომად" არ სცალიათ. სადაცაა, საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება, 23 აგვისტოს კი დედაქალაქური კლუბების ნაკრები „თბილისის" სახელით და ბენდიაშვილის თავკაცობით ევროპის პროვინციათა თასზე პირველ მატჩს გამართავს. „ლოკომოტივის" ბორჯღალოსანი კაპიტანი კახა ალანია თბილისელებს ევროპაშიც უყოჩებს. მასთან ინტერვიუ კი საქართველოს თასის ფინალით დავიწყეთ.*

— ძალიან მძიმე ბრძოლა იყო. ბათუმელებმა შერკინებაში, მოლში და რაქში გვაჯობეს. საერთოდ უამრავი მოგებული მატჩი წაგვიგია, მაგრამ ვერ ვიხსენებ პირიქით მომხდარიყოს. „დათვებთან" სწორედ წაგებული მატჩი შემოვატრიალეთ. გიორგი ასათიანმაც კარიერაში ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი ლელო გაიტანა, თანაც ბოლო წუთზე. ახლა ხუმრობს-ხოლმე, შემიძლია, რაგბის თავი დავანებოო.

**— ბათუმელებმა ფინალის შედეგი გააპროტესტეს. მათი აზრით, მსაჯს დრო უნდა დაემატებინა...**

— მე და თემურ ბენდიაშვილმა ღამე გავათენეთ ვიდეოფირის ყურებაში. იქ კარგად ჩანს მომენტი, როდესაც მსაჯი ზაზა ლეჟავა გვანიშნებს, რომ დამატებული დროიანად მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთი რჩება. სპეციალურად წამზომზე დავინიშნე და როდესაც ასათიანს ლელო გააქვს, სწორედ იქ იწურება ის ხუთი წუთი. ასე რომ, ზაზა ლეჟავა არ შემცდარა.

**— სადაცაა, საქართველოს ჩემპიონატი დაიწყება. „ლოკომოტივს" პატრონი გამოუჩნდა და პირობებიც გაუმჯობესდა. პროგრამა მინიმუმი ჩემპიონობა იქნება?**

— რა თქმა უნდა. რკინიგზის დეპარტამენტმა მორაგბეებისკენაც გამოიხედა და შეძლებისდაგვარად გვეხმარება. ნორმალური სავარჯიშო პირობები გვაქვს და რამდენიმე ახალი მორაგბეც დავიმატეთ. ასე რომ, აუცილებლად ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ.

**— „ლოკომოტივის" მთავარი კონკურენტი ვინ იქნება?**

— ბათუმის „დათვები". რამაზ სანებლიძემ მართლაც მაგარი გუნდი შეკრა. რაგბის კავშირი კარგს იზამს, თუ უმაღლეს ლიგას თასის შედეგების მიხედვით დააკომპლექტებს. ქუთაისის „აია", რომელიც პირველ ლიგაშია, ახლა ძლიერი გუნდია და ნამდვილად იმსახურებს უძლიერესებში ყოფნას. „უნივერსიტეტიც" შარშანდელთან შედარებით გვარიანად მომაგრდა, თანაც მწვრთნელი ლევან მგელაძეა. მას კი სელექცია და გუნდის შეკვრა არ ესწავლება. ასე ჩემპიონატის დონე აიწევს და გაცილებით საინტერესო გახდება.

**— აგვისტოში ევროპის პროვინციების თასზეც მოგიწევს თამაში...**

— ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ეს ტურნირი. სამწუხაროდ, შარშან პირველივე ტურში გამოვეთიშეთ შეჯიბრს. წელს კი უფრო ძლიერი გუნდი გვეყოლება და შორს წასვლას ვაპირებთ. თემურ ბენდიაშვილი ახლა კანდიდატებს დაასახელებს და შეკრებაზე გადავალთ. პირველი მატჩი სტუმრად პრაღის ნაკრებთან გველის. თუ ჩეხური ბარიერი დავძლიეთ, რისი დიდი იმედიც მაქვს, მერე მოსკოვში მოსკოვის ნაკრებს ვეთამაშებით. ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდა რუსებთან თამაში. ჯახი იქ იქნება, თუ იქნება.

**— უკვე 29 წლის ხარ, კიდევ რამდენ ხანს აპირებ უმაღლეს დონეზე თამაშს?**

— ალბათ ორი-სამი წელი. ჯანი და სისწრაფე შემრჩა, გამოცდილება მაქვს. ვერ შეიძლება თამაში.

**— წლეულს ისე აღარ გამოირჩევი, როგორც ბოლო წლებში. რისი ბრალია?**

— ტრავმებმა გამტანჯა, ნაკრების რამდენიმე მატჩიც ამიტომ გამოვტოვე. თანაც „ლოკომოტივმა" ტაქტიკა შეცვალა, ახლა უფრო გუნდურ თამაშს ვანიჭებთ უპირატესობას, ვიდრე ინდივიდუალურს. გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე ცოტა ჩავიკარგე, თორემ ისევ ის ალანია ვარ!

**— რომელიც თბილისის შვიდკაცაზე მასზე გაცილებით უმცროს მეტოქეს ეჩხუბა? მგონი, შენ კარიერაში ეს პირველად მოხდა.**

— ჩხუბით კი მიჩხუბია, მაგრამ ჩემი „ინიციატივით" პირველად ატყდა დაკა-დაკა. საერთოდ ადრე [illegible] მიბედავდნენ მუშტის დარტყმას [illegible] არც მე ვარ „ბინძური" მოთამაშე, მაგრამ იმ მომენტში ვერ მოვითმინე. ბურთისთვის ვიბრძოდი და ყბაში ისეთი მომხვდა, რომ გაბრუებული ვიყავი. თანაც მხარი მქონდა ნატკენი, პრაქტიკულად ცალი ხელით ვთამაშობდი. იმ ბიჭს მაისურაზე დავქაჩე, მისი სახის ნახვა მინდოდა და...

**— საქართველოს ნაკრების წევრთა იმ უმცირესობას ეკუთვნი, საქართველოში რომ თამაშობენ. არ გიცდია უცხოეთში წასვლა?**

— ადრე შემეძლო, მაგრამ არ წავედი. ახლა უკვე ცოლი მყავს, ორი შვილი და მათ ვერ მივატოვებ. მირჩევნია, საქართველოში ვითამაშო.

**ბაჩო სვანიძე**

კახა ალანია ფრანგებთან ტესტმატჩისას

ACURA CLASSIC კარლსბადი. კალიფორნია
მაგარსაფარი. საპრიზო 1 მილიონი $



REUTERS

ლინდსი დევენპორტი

# ლინდსის ფეხი აწუხებს, ჩოგბურთელებს ლინდსი

**მეორე წრე**

**ჟუსტინ ენენ-არდენი (3, ბელგია) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:1, 6:1; ლინდსი დავენპორტი (4, აშშ) — ემი ფრეზერი (აშშ) 6:3, 6:1; ჩანდა რუბინი (6, აშშ) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 7:5, 6:0; ელენა დოკიჩი (9, სერბეთი) — მაგი სერნა (ესპანეთი) 2:6, 6:2, 6:3; მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) — მეგან შონესი (14, აშშ) 3:6, 7:6 (7:5), 7:5**

სტენფორდული ტურნირის დარად კარლსბადური ერთმილიონდოლარობაც ტრავმირებულ შავდა უილიამსთა გარეშე ჩაივლის. შარშანდელ ჩემპიონ ვინუსს დაჭიმული ქვედამუცელი ჯერაც არ მოუშუშებია, უკანასკნელი 6-დან 5 სლემტურნირის ამკლებ სერენას კი კვლავაც მარცხენა მუხლი აწუხებს.

მათს არყოფნაში სხვები ლაღობენ. ამ სხვათაგან უწინარეს ინტერესს როლან გაროსის წლევანდელი ჩემპიონის, უიმბლდონობის ნახევარფინალში სერენასთან ძლევის შემდეგ მხოლოდ ფედთასზე გარჯილი ჟუსტინ ენენის ჩოგნაობა იწვევს.

ციდა და ზღმურღლიანმა ბელგოგომ ტურნირი ბერძენი ელენი დანილიდუს შემუსვრით დაიწყო. მატჩმა ოდენ 49 წუთს გასტანა და შავტუხა ხმელთაშუაზღვისპირელმა ვერაფერი გააწყო კორტზე ალქაჯივით მომძუნავე მეტოქის წინაალმდეგ.

თითქმის ასევე უშრომლად იმარჯვა მეოთხე ნომრად განთესილმა ლინდსი დევენპორტმაც, ვინაც ტურნირის 1998 წლის ჩემპიონია და ენენის არ იყოს, კორტზე უიმბლდონურ მეოთხედფინალში ვინუსთან დამარცხების მერე არ გამოჩენილა.

თვისტომ ემი ფრეზერის ზედიზედ მეცხრედ გაბითურებას ლინდსიმ მართლაც ცოტა, 54 წუთი მოანდომა, მაგრამ მას თავისი გასაჭირი აქვს — მარცხენა ტერფის მავანი ნერვი „უნთებს“ და ტკივილი ხან როდის მოეძალება, ხანაც — როდის.

აქიმთა თქმით, ლინდსიმ როგორმე სეზონის ბოლომდე უნდა მიატანოს, მერე კი მის ვეება ფეხს საოპერაციო მაგიდაზე შემოდებენ...

სხვაფრივ: უსახელო ფრანგმა მარიონ ბარტოლიმ ამ ბოლო დროს აჭრილ მეგან შონესის უგანა, ჩია ჩანდა რუბინმა და ღიმილოსანმა ელენა დოკიჩმა კი ერთმანეთთან სამესამსწრეო შეხლა გაიჩალიჩეს — პირველმა სლოვენ პისნიკს შედარებით იოლად აჯობა, მეორე კი ძლივს გადაურჩა მის უზომბორესობა ესპანელ მაგი სერნას.

ჩანდა და ელენა ერთმანეთს აქამდე სამჯერ შეხვედრიან და პირველი მეორეს ჯამში 2:1 უგებს.

შეგახსენებთ, რომ დოკიჩი შარშანდელი ფინალისტია, მაგრამ თავის შარშანდელ თავს ის ახლა მხოლოდ ხორციელი მშვენებით თუ ჩამოჰგავს. თუკი საქმეში ჩახედული მკითხველი ბრძანდებით, თავადაც გეცოდინებათ — მომხიბლავი სერბგოგო წლეულს ძალზედ ცუდად თამაშობს და შარშან სექტემბერში მე-4 სარეიტინგსიო ადგილი რომ ეპყრა, ამ კვირაში უკვე მე-12 საფეხურზე დგას.

LEGG MASON TENNIS CLASSIC ვაშინგტონი. მაგარსაფარი. საპრიზო 600 ათასი $

# ანდრე აგასი მაგარ საფარს გადაეფარა

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი (1, აშშ) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:2, 6:2; ჯეიმს ბლეიკი (6, აშშ) — გრეგორი კარა (საფრანგეთი) 7:6 (8:6), 6:4; მაქს მირნი (7, ბელარუსი) — ალექს კიმი (აშშ) 4:6, 6:3, 6:4; ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) — არნო კლემანი (9, საფრანგეთი) 3:6, 7:5, 6:1; მარდი ფიში (11, აშშ) — სკოტ დრეიპერი (ავსტრალია) 6:2, 7:5; გრეგ რუზედსკი (14, ბრიტანეთი) — ივან მირანდა (პერუ) 6:2, 6:4**

როგორც იქნა და კორტს უიმბლდონის მეოთხე წრეში ჰოტროველა მარკ ფილიპუსისგან ჩაჩოგნილი ანდრე აგასიც მოუბრუნდა.

ჯადო არმენოამერიკელი ვაშინგტონური ტურნირი ხუთგზის ჩემპიონია — პირველად იქ 1990-ში უმარჯვია, ბოლოჯერ — 1999-ში. ის იქ უკვე მეთხუთმეტედ გამოდის და თუკი მეექვსედ გაჩემპიონებასაც მოახერხებს, ვაშინგტონური მაგარსაფრის ერთადერთი ექვსგზის მაოხარი მეჩოგნე გახდება.

საამამბოდ პირველი ნაბიჯი ამქრის 33 წლის პირველოსანმა რიგიანად გადადგა, თუმცა შვეიცარიელი ივო ჰოიბერგერი ეგებ არ იყოს ის კაცი, ვისი ძლევაც რვაგზის სლემტიტულოსანს დიდ მიღწევად უნდა ჩაეთვალოს.

ასეა თუ ისე, წლეულს უკვე ოთხი ტიტულის მომხვეჭმა ვეტერანმა — და ავსტრალიის ღია პირველობას თუ არ ჩავთვლით, დანარჩენი სამი (ჰიუსტონური, მაიამური და სანხოსეური) ტურნირი მან სწორედ ამერიკულ ჰარდზე მიითვალა — 20 სამაგარსაფრო მატჩში უკვე 19 გამარჯვება დაუგროვდა.

ასეთ ჩინებულ საჰარდო მონაგარს წლეულს ჯერ ვერავინ დაიკვეხს.

დანარჩენი მატჩებიდან კი მხოლოდ იმას გამოვყოფთ, რომ შარშანდელმა ჩემპიონმა ჯეიმს ბლეიკმა, მართალია, გაჭირვებით, მაგრამ მაინც აჯობა უსახელო ფრანგ გრეგორი კარას.

არა, ბლეიკი ახლა არ ჰგავს იმ კაცს, ტიტულის შენარჩუნებას რომ მოახერხებს.

IDEA PROKOM OPEN სოპოტი. თიხნარი. საპრიზო 500 ათასი ევრო

# ჟუჟუნა წვიმამ წაგვლეკა

**პირველი წრე**

**გილერმო კორია (3, არგენტინა) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:3, 6:4; დავიდ ნალბანდიანი (4, არგენტინა) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:2, 6:4; დავიდ სანჩესი (6, ესპანეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:4, 6:2; დომინიკ ჰრბატი (7, სლოვაკეთი) — მარიუშ ფირსტენბერგი (პოლონეთი) 7:5, 6:3**

ჰორვატულ უმაგსა და ავსტრიულ კიცბიუელში ნათიხნარევი მეჩოგნენი ამ კვირაში პოლონურ სოპოტში შეყრილან.

თქვენ რომ ანგარიშებს ხედავთ, მათი ეს ჩამონათვალი ნაკლულია, რაკილა გადაუღებელმა წვიმამ მრავალ უსახელოსა და სახელიანს კორტზე გასვლის საშუალება არ მისცა.

ამათ შორის მოხდვნენ ტურნირის პირველოსანი, წლევანდელი როლან გაროსის ჩემპიონი ხუან კარლოს ფერერო და მისი თვისტომი, გასულ კვირას უმაგში ნაპირველარი კარლოს მოია, ვინაც სოპოტში რანგით მეორე ჩოგანს გააქნევს.

სანაცვლოდ დარმა ბურთაობა დააცალა წლეულს ამობრწყინებულსა და უკვე სამი ტიტულის მომრეწ 21 წლის არგენტინელ გილერმო კორიას.

უნიჭიერესი გაუჩო — სოპოტში შტუტგარტულ-კიცბიუელური ორტიტულიანი გალარბენის შემდეგ რომ ჩავიდა — იმ დღეს რუმინელ ჰანესკუს შეხვდა და თავისი ზედიზედ მე-11 გამარჯვება მიირიცხა.

დანარჩენს კი ანგარიშებზევე დაატყობთ.

აქ მხოლოდ იმასღა დავსძენთ, რომ ამ 11 მოგებისას კორიას მეტოქეთათვის ერთი ქეციანი სეტიც არ დაუთმია. აბა!

MERSEDES-BENZ CUP ლოს ანჯელესი. მაგარსაფარი. საპრიზო 380 ათასი $

# საფინმა მაჯა უკან შეიხვია

**პირველი წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) — სისილ მამიტი (აშშ) 6:0, 7:5; სებასტიან გროჟანი (2, საფრანგეთი) — ქსავიე მალისი (ბელგია) 4:6, 7:5, 6:3; სხენგ შალკენი (3, ჰოლანდია) — დენის გოლოვანოვი (რუსეთი) 6:4, 6:4; გუსტავო კუერტენი (4, ბრაზილია) — ფრედერიკ ნიმეიერი (კანადა) 3:6, 7:6 (7:2), 6:4; მარკ ფილიპუსისი (5, ავსტრალია) — ადამ კენედი (ავსტრალია) 6:3, 6:2; პრაკაშ არმიტრაჯი (ინდოეთი) — მარატ საფინი (6, რუსეთი) 5:3 საფინმა შეწყვიტა; უეინ ფერეირა (7, სამხრეთ აფრიკა) — რობერტ იმი (აშშ) 6:4, 6:4; ვინსენტ სპადია (8, აშშ) — ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) 6:4, 6:3**

თავადაც ხედავთ, ლოსანჯელესურ მაგარსაფარზე საბუქნაოდ კაი რიგიანი კომპანია შეიკრიბა. ამათგან ბედმა მხოლოდ მარატ საფინს უმტყუნა, რომელიც კორტს სამთვიანი შესვენების შემდეგ მოუბრუნდა და... ეგევე მაჯა იტკინა, რამაც ეს სამი თვე ტელევიზორთან დააყუდა!

მარატი 19 წლის ჰინდუ პრაკაშ არმიტრაჯს დანებდა. ამ პრაკაშმა თავისი პირველი საეტიპიო გამარჯვება წინა კვირას ინდიანაპოლისურ ტურნირზე იშოვა და საფინთან მოპოვებული ეს ნახევარმოგება მეორე წარმატებად ჩაეწერება.

საფინისთვის ეს დღე ორმაგად უიღბლო გამოდგა იმის გამოც, რომ მის წაფორხილებამდე ცოტა ხნით ადრე სხენგ შალკენმა ტურნირს მისი მწვრთნელი, ძირითად ბადეში ნაკვალიფიკაციევს მოხვედრილი დენის გოლოვანოვი გამოაკლო.

მოკლედ -- რუსი როგორც მობრუნდა, მაჯა ისევ უკან შეიხვია. ოღონდ, ჯერ-ჯერობით არ ამბობენ — როდემდე.

ამასობაში:

უიმბლდონობის პირველ წრეში ამბალ კარლოვიჩისგან დაჩაგრულმა ლეიტონ ჰიუიტმა ბასრად იჩოგნავა და ადგილობრივ პუბლიკას მისი ჯილა მამიტი გაუფარჩაკა.

ამქრის ბოლო ორი წლის — აწ უკვე დამხობილი — პირველოსანი ჩემპიონთა რბოლაში ახლა მხოლოდ მე-15 ადგილზეა და თუკი მდგომარეობის გამოსწორება სურს, თავისი საქნელის ქნა სწორედ ამერიკული მაგარსაფარზე, უწინარესად ლოს-ანჯელესში უნდა ეცადოს.

ეგ მით უფრო, რომ ორივე საამსეზონო ტიტული — სკოტსდეილურიცა და ინდიანუელსურიც — იქვე გაუჩარხავს.

მისმა თვისტომმა, უიმბლდონის ფინალისტმა მარკ ფილიპუსისმა 20 წლის თავისიანი, ვინმე ადამ კენედი ასევე იოლად მოდრიკა.

სამაგიეროდ გაუჭირდათ უიმბლდონის ნახევარფინალისტ სებასტიან გროჟანსა და სამგზის როლანგაროსოსან გუსტავო კუერტენს. მეორე წრეში გასასვლელად — აკი ანგარიშებიდანაც ჩანს მათ სამ-სამსეტიანი ბრძოლები გადაიხადეს.

**ქარლო გოგოლი**

მარატ საფინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გახურდა ბადმინტონი

ბირმინგემში გახურდა მსოფლიო ჩემპიონატი ბადმინტონში. ჯერ პირველი რაუნდის თამაშებია და ინგლისური წყვილი საიმონ არჩერი (ნახტომში) — გრემ ჰასელი ბერძნებს ეთამაშება. „ინდორ არენაზე" ბადმინტონს უამრავი ხალხი ესწრება.

REUTERS ბირმინგემიდან

REUTERS კუნმინიდან

# რეალი პირველ ქალაქში



REUTERS კუნმინიდან

როცა მადრიდის „რეალი" ვარჯიშობს, კუნმინის სტადიონზე იქ არავის უშვებენ. მხოლოდ პოლიციელებს ძალ[...]თ დიდი გუნდის ვარჯიშის ცქერა. მოედნის მოდარაჯე პოლიციელებს აშკარად ბედი ულიმით იმ კოლეგებთან შედარებით, რომლებიც სტადიო[...] გარეთ დგანან და აზვირთებულ ხალხს აკავებენ. „რეალი" თავისი აზიური ტურნეს პირველ ქალაქში იმყოფება და აქაური ატმოსფერო იმგვარია, როგორიც მა[...] პრეზიდენტს, ფლორენტინო პერესს სურდა.

# აფრიკა, გინდა აფრიკა

კეიპტაუნში ამხანაგური თამაში იყო: აფრიკაში სამოგზაუროდ მყოფი „ტოტენჰემ ჰოტსპური" იქაურ „კაიზერ ჩიფსს" შეხვდა და 2:0 მოუგო. „ტოტენჰემის" მოგზაურობა სამხრეთ აფრიკის 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის სარეკლამო კამპანიის ნაწილია. „კაიზერ ჩიფსს" კი აი, ამგვარი გიჟმაჟი გულშემატკივარიც ჰყოლია, რომელსაც ქუდზე ნელსონ მანდელას ფოტო დაუმაგრებია დიდი აფრიკელის დაბადების დღის აღსანიშნავად.

REUTERS კეიპტაუნიდან

REUTERS კალკუტიდან

# პირველი ინდური

დიახ, ამიერიდან ინდოთაც ჰყავთ გუნდი, რომელმაც საერთაშორისო ჯილდო მოიგო. ეს მოულოდნელი იყო: „ისტ ბენგალის" გუნდმა ასეანის ჩემპიონატში ყველას მოუგო, მათ შორის ტაილანდელ ფავორიტებს „ბეკ ტერო რასანადან" (3:1) და თასი, პირველი ინდური საერთაშორისო თასი კალკუტაში ჩაიტანა, სადაც გუნდს ათი ათასი ქალაქელი დაუხვდა. კაპიტანი სულეი მუსა თასიანად ხელში აიტაცეს და ისე ატარეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფიცხელაური
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგულაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, ძალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge